გაზეთი დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 25 ნოემბერი, 2005 წელი.

№273 (5306)

იმისთანა წმინდა ხალმში, ტოგოტიც ბოჭდეუტი სიტყვაა, ტყუიოებით და ჭოტებით ბუტთის გაფანა ყეოლა უკადბისხბაზე უხამაგოესია.

საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, პოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

მეხუთე გაოქროსფრთიანება

გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულზე შერატონ მეტეხი-პალასის დარბაზ „სალხინოში“ ჩვენს გამორჩეულ ჟურნალისტებს და ქველმოქმედ ბიზნესმენებს მართლაც სალხინო-საზეიმო განწყობა ჰქონდათ: ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდი „ოქროს ფრთა“ ამავე სახელწოდების ჯილდოთი (უკვე მეხუთედ!) წარმოაჩენდა 12 ქართველის და ერთი უცხოელის საქვეყნო ღვაწლს საქართველოს, ქართველი ხალხისა და მასმედიის წინაშე.

უფრო კონკრეტულად: ჟურნალისტებს ეს ჯილდო მიენიჭათ მაღალი პროფესიონალიზმისა და ქართული ჟურნალისტიკის, ქართული კულტურის განვითარებაში შეტანილი გამორჩეული წვლილისთვის; ქველმოქმედებს — უანგარო სიკეთისთვის, უშურველად გაღებული თანხებისთვის, შეჭირვებულ და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა გადარჩენისთვის...

იხ. მე-2 გვ.

◎ ინფორმაცია

შეხვედრა საზღვრის დაცვის დეპარტამენტში

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე გენერალ-ლეიტენანტი ბადრი ბიწაძე გუშინ, ევროკავშირის მისიის ხელმძღვანელს სამხრეთ კავკასიაში ჰაიკი ტალვიტიეს შეხვდა. შეხვედაზე მხარეებმა საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარზე ეუთო-ს დამკვირვებლების ევროკავშირის წარმომადგენლებით ჩანაცვლების საკითხზე და დეპარტამენტში მიმდინარე რეფორმებზე ისაუბრეს. ერთსაათიანი დახურული შეხვედრის დასრულების შემდეგ ტალვიტიემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ საზღვარზე ეუთო-ს დამკვირვებლების ევროკავშირის წარმომადგენლებით ჩანაცვლების საკითხი აქტიურად მიმდინარეობს, თუმცა ჯერჯერობით რაიმე გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

რაც შეეხება სასაზღვრო უწყებაში მიმდინარე რეფორმებს, ევროკავშირის მისიის ხელმძღვანელის განცხადებით, იგი რეფორმებით კმაყოფილია.

ჯორჯ რობერტსონი: ნატოზედე ჯერ კიდევ შორია

ნატოს ყოფილი გენერალური მდივანი და დიდი ბრიტანეთის ყოფილი თავდაცვის მინისტრი ლორდი ჯორჯ რობერტსონი „ბი-ბი-სი“-სთან ინტერვიუში აცხადებს, რომ საქართველო და უკრაინა ჯერ კიდევ შორს არიან ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებისგან. „საქართველოს და უკრაინას ნატო-ში გაწევრიანება ამჟამად არ მოხდება. ნატო-ს წევრობა საჩუქარი არ არის და მეტად მძიმე მუშაობას, მეტად მაღალი სტანდარტების მიღწევას მოითხოვს“, — აცხადებს კერძო ვიზიტით, მოსკოვში მყოფი ჯორჯ რობერტსონი.

ვარდების და ნარინჯისფერი რევოლუციების შეფასებისას რობერტსონმა განაცხადა, რომ ამ მოვლენებმა მთელი მსოფლიოსთვის დიდი მნიშვნელობა შეიძინა.

მისი თქმით, პოსტსაბჭოთა სივრცეში სახელმწიფოებმა რუსეთთან, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრებმა კი არა, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე უნდა ააგონ ურთიერთობები. „პოსტსაბჭოთა სივრცეში ახალი ფერადი რევოლუციების შესაძლებლობა დამოკიდებული იქნება ამ ქვეყნებში არჩევნების არაობიექტურად ჩატარებაზე, როგორც ეს საქართველოსა და უკრაინაში ვიხილეთ,“ — აცხადებს ჯორჯ რობერტსონი.

ბოიკოტს გეგმავენ

ახალი საპარლამენტო ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტი“ პარლამენტის პლენარული სხდომის ბოიკოტირებას გეგმავს. აღნიშნული გადაწყვეტილება ფრაქციამ მას შემდეგ მიიღო, რაც პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, პარლამენტის თავმჯდომარის გადაწყვეტილების მიუხედავად, საპარლამენტო უმრავლესობამ ოპოზიციისთვის გამოყოფილი ადგილები არ დათმო. უმრავლესობის ლიდერი მაია ნადირაძე დღეს სხდომათა დარბაზში უმრავლესობის იმ წევრებთან აწარმოებდა მოლაპარაკებას, რომელთა ადგილებიც ოპოზიციას გადაეცა. თუმცა, უმრავლესობის წევრები კობა დვალიშვილი, ვან ბაიბურთი, ზურაბ შხვაცაბაია და გრიგოლ ქობალია საკუთარი ადგილების დათმობას არ აპირებენ.

ინტერპრესნიუსი

კოტე კუბლაშვილი მოსამართლეებს თანამდებობის დატოვებას სატელეფონო ზარებით აიძულებს

იხ. მე-2 გვ.

◎ პანორამა

ბრიტანული ტაბლოიდი „დეილი მირორი“ მამაკაცებს სთავაზობს რამდენიმე საშუალებას, რომლებიც დადებით გავლენას მოახდენს მათ ჯანმრთელობაზე და ამ დანიშნულებების შესრულებას დიდი ძალისხმევაც არ დასჭირდება: სექსი, ყავა, კოცნა და ფეხით სიარული.

* * *

ხუთშაბათიდან ბრიტანული პაბები მუშაობის ახალ რეჟიმზე გადადიან. ეს სიახლე ნამდვილად რევოლუციური გახდა. ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროიდან დიდ ბრიტანეთში ყველა პაბი იხურებოდა შუალამემდე ერთი საათით ადრე, რაც ლუდხანების მფლობელების აზრით, ხელს შეუწყობდა ხულიგნობის აღკვეთას.

* * *

ჯორჯ ბუშმა დააყადაღა ზიმბაბვეს ოფიციალურ პირთა საკუთრება. შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დაბლოკა იმ 128 კერძო პირის და კომპანიების აქტივები, რომლებიც ზიმბაბვეში „უთხრიან ძირს დემოკრატიულ პროცესებს ან ინსტიტუტებს“. შეერთებულ შტატებში მიაჩნიათ, რომ ზიმბაბვეში კვლავ ხდება სამოქალაქო საზოგადოების, პრესის და პოლიტიკური ოპოზიციის შევიწროება.

პერძენიშვილის ხოლიგნობა და ვაბიშვილის პილწსიტყვაობა

წინანდლის იჯარით გასვემის პროცესი სასამართლომ შეაჩერა

იხ. მე-2 გვ.

ყველაფერს ვაპატიებ ამ ხელისუფლებას, თუ აფხაზეთსა და შიდა ქართლს დაგვიბრუნებს



ამბობს აფხაზეთიდან დევნილი პოეტი გენო კალანდია

შეიძლება დღევანდელი თაობისგან განსხვავებით, ჩემი თაობა სხვაგვარად აზროვნებდეს, მაგრამ არის ერთი დიდი საერთო გზა, რომელსაც ქართული გზა ჰქვია და ამ გზას დღეს გადაუხვიეს.

იხ. მე-3 გვ.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საპაკაშვილი ჯერჯეროობით დუმილს ამჯობინებს

იხ. მე-2 გვ.

◎ რას წერენ და ხატავენ რუსები თავიანთ თავზე

„ჩვენ გვაქვს იმის უნიკალური შესაძლებლობა, რომ მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ მოქალაქეთა ცხოვრება. მზად ვარ, ამაზე ვიმუშაო მუდმივი რეჟიმით, და თუ საჭირო იქნება, მთელი დღე-ღამეების განმავლობაშიც კი“.

დიმიტრი მედვედევი,
რუსეთის ფედერაციის პირველი ვიცე-პრემიერი.

წარმატებული წინსვლისთვის საჭიროა შევცვალოთ აზროვნების ფორმატი

როდის დაწვავენ გია ნოდიას ფიტულს?



იხ. მე-3 გვ.

პროტესტის რა განსაკუთრებული ფორმის გამოყენებას აპირებს გურამ შარაძე, თუ მის მიერ გია ნოდიას წინააღმდეგ გენერალურ პროკურატურაში 13 სექტემბერს შეტანილ სარჩელს კვლავაც მტვრიან თაროზე მიუჩენენ ადგილს?

◎ პროფესიის პრესტიჟი

მეხუთე გაოქროსფრთიანება

(პირველი გვერდიდან)

ჟურნალისტური ეთიკის ელემენტარული ნორმების დაცვით, ჯერ ქვეყნმოქმედ ბიზნესმენებს გავეცნოთ, რომლებმაც „ოქროს ფრთა“ დაიმსახურეს და ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდის ახალი ლაურეატები გახდნენ... თუმცაღა, გაცნობა მათ ნამდვილად არ სჭირდებათ. როგორც იტყვიან, საქმეში მათი საქვეყნოდ ღაღადებენ... აბა, ვინ არ იცნობს ბიზნესმენ **ბიძინა ივანიშვილს,** რომელმაც ქრისტესმიერი მოკრძალებით, უწყმრად, უსახელოდ მილიონები გაიღო ჩვენი ტრადიციული, ერთ დროს სახელმწიფო (!), აკადემიური თეატრების გადასარჩენად, სამების ტაძრის ასაგებად, თბილისისა და მხარეების (განსაკუთრებით შუობლიური საჩხერის რაიონის) ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად, ათასობით სოციალურად შეჭირვებული ადამიანის დასახმარებლად...

მოკრძალებული ბიძინა ივანიშვილი „ოქროს ფრთის“ მისაღებად არ გამოცხადდა. სამაგიეროდ, დარბაზმა ყველაზე გამორჩეული ოვაცია მიუძღვნა მის დაჯილდოებას.

ვინ არ იცნობს მსოფლიოში აღიარებულ ხელოვანს, რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტს, არაერთი საერთაშორისო და ეროვნული პრემიისა თუ ჯილდოს მფლობელს მოქანდაკე **ზურაბ წერეთელს.**

— ეს რა კარგი, ლამაზი ჯილდოო ყოფილაო, აღიარა ბატონმა ზურაბმა და საერთაშორისო ფონდის „ოქროს ფრთის“ ავტორებს საქეიფოდ დაპპირდა: ამიერიდან მეც შეგეშვეიანთ „ფრთის“ დამზადებაშიო... შეგახსენებთ, რომ „ოქროს ფრთა“ შვიდგრამიანი ბაჯაღლოა.

ჯილდოს მიღებამ გულწრფელად გაახარა ჩვენი გამორჩეული მომღერალი, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ბანი **პაატა ბურჭულაძე,** რომელმაც ორიოდე წლის წინათ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა დახმარების საქველმოქმედო ფონდი „იავნანა“ ჩამოიყალიბა და უკვე მოასწრო რამდენიმე საქველმოქმედო კონცერტის გამართვა... საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, უპატრონო და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვები, „იავნანას“ დახმარებით, წელში გაიმართნენ... თუმცაღა, ეს მხოლოდ დასაწყისია და როგორც ბატონმა პაატამ ბრძანა, ეს ჯილდო წინასწარ, ავანსად მონიჭებული სიამოვნებაა და ყოველმხრივ ვეცდები ქართველ ბავშვებს დანაპირები შევუსრულოთო.

„ოქროსფრთიანმა“ პაატა ბურჭულაძემ წამყვანის ინგა გრიგოლიას თხოვნით „ძართული ხმეგი“ თავისი ბანითაც დააშვენა...

ქველმოქმედი, ბიზნესმენი ქალები საქართველოში დიდი ინვიათობაა. ეს სახელი, ერთ-ერთმა პირველმა, ღირსეულად მოიპოვა **რუსუდან კერვალიშვილმა,** არქიტექტურისა და მშენებლობის ცნობილი კომპანიის „ცენტრ-პოინტის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, ჩვენი უდროოდ გარდაცვლილი შესანშნავი კოლეგის, ჟურნალისტისა და მწერლის ზაზა დარასელის მეუღლემ და შესანიშნავი ოჯახის დედამ. თავისი მოკრძალებით, ინტელიგენტურობით, შინაგანი კულტურით ის ქალურობის ეტალონად აღიარეს და ბოლო ხანს გამოწენილი ქველმოქმედებისთვის დამსახურებულად მიანიჭეს ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდის პრემია.

„ოქროს ფრთის“ ლაურეატთა შორისაა პირველი ქართული პოლიგრაფიული სრულფერიანი საბეჭდი დანადგარის — „კოლორი-578“-ის გამომგონებელი და ფირმა „კოლორის“ დამფუძნებელი **გიორგი თაქთაქიშვილი.** თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დღეს საქართველოში გამომავალი ჟურნალ-გაზეთების დიდ უმრავლესობას „კოლორი“ ბეჭდავს, გიორგი თაქთაქიშვილის ინიციატივით შეიქმნა პოლიგრაფიისტთა ასოციაცია, გამოდის უნიკალური საერო და საეკლესიო წიგნები, მოქმედებს ინტერნეტგაერდი, საქართველოს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტს საკუთარი ლაბორატორია სასწავლო ბაზად შესთავაზა, 2009 წლისთვის განზრახული აქვს პირველი ქართული სასულიერო წიგნების („სახარება“, „დავითნი“, „სამოციქულო“) და სხვათა, პირველი გამოცემის სამასწლოვანი იუბილის ღირსულად აღნიშვნა, — ერთმანიშვნელოვნად ვიტყვით: „კოლორის“ თავკაცი ღირსია „ოქროს ფრთის“ ლაურეატობისა.

საერთაშორისო პრემიას საერთაშორისოს სახელს კიდევ უფრო განუმტკიცებს „ოქროს ფრთით“ ცნობილი ამერიკელი მწერლისა და პუბლიცისტის, საქართველოს რევოლუციური გარდაქმნების დიდი მხარდამჭერის ბატონ **ბილ ტომასის** დაჯილდოება. მისი სამადლობელი სიტყვა ჩვეული იუმორით და ტემპერამენტით თარგმნა ასევე ცნობილმა „ქართველ-ამერიკელმა“ ჟურნალისტმა, „ოქროს ფრთის“ ღირსეულმა ლაურეატმა **ნუგზარ რუხაძემ.** ამ უკანასკნელმა პრემია, უპირველეს ყოვლისა, ამერიკულ ტელევიზიაში წარმატებული „ქართული“ მოღვაწეობისთვის დაიმსახურა. თუმცაღა, ნუგზარ რუხაძე, ბოლო ხანს, საქართველოშიც ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ჟურნალისტი იყო... ვიმედოვნებთ, ის მომავალშიც იტყვის თავის სათქმელს.

თანამედროვე გამორჩეულ ქართველ ჟურნალისტთა შორის დაჯილდოვდნენ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორი **რუსლან რუსია,** გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას“ მთავარი რედაქტორი **ტატო ლასხიშვილი,** გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ პუბლიცისტი **ნათელა კობიაშვილი,** ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის საავტორო პროგრამის „ღამის შოუს“ პოპულარული წამყვანი **დავით გოგიჩაიშვილი,** პოეტი და პუბლიცისტი **დავით მალრაძე,** გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის“ რედაქტორი, საპატრიარქოს პრესცენტრის უფროსის მოადგილე, საქართველოში პირველი საბავშვო რელიგიური გაზეთის „ალილუიას“ დამაარსებელი და რედაქტორი **ზურაბ ცხოვრებაძე.**

დაჯილდოების ცერემონიის ომახიანად წამყვანმა, მუდამ აღტყინებულმა ინგა გრიგოლიამ, როცა „ოქროს ფრთის“ ლაურეატებს რიგ-რიგობით სცენაზე უხმობდა, რაგომღაც, მაინცდამაინც ჩვენი გაზეთის მთავარი რედაქტორის გვარი „შემოიტოვა“ და... შემაჯამებელი სიტყვა ბატონ რეზო ჩხეიძეს გადასცა... ამ დროს ტელეჟურნალისტებმა საქმე მოთავებულად ჩათვალეს და დარბაზს გაეცალნენ...

ფონდის ორგანიზატორებმა შეახსენეს წამყვანს, — შეცდომა ყველაზე „ცნობილი ბოლო ლუკმის“ სახელით უნდა გამოასწოროო!

ინგა გრიგოლიამ ისევ ომახიანად დაასახელა „ბოლო ლუკმის“ სახელი და ადამინისა: „საქართველოს რესპუბლიკა“ ამ ბოლო ხანს ძალიან ოპოზიციური და პრინციპული გახდაო...

— არანაირ განსაკუთრებულ ოპოზიციონერობას არ ვჩვეოლობთ, მხოლოდ იმას ვნერთ, რაც ხდება, მოვლენებს განზრახ არც ვალამაზებთ და არც ვამუქებთო, — უპასუხა გაზეთის რედაქტორმა, მერე ისიც დასძინა, ნათქვამი ეი არის, რომ მტკბილი ლუკმა ადამიანმა ბოლოსთვის უნდა შემოინახოს, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, თუ ქალბატონი ინგასთვის ასეთი ნუგბარი ვიყავიო.

ამ „უნებლიე“ შეცდომის გამო გუშინ, ტელეკომპანიების უმრავლესობამ არასრულყოფილი ინფორმაცია გადასცა!

ასე დამთავრდა ეს შთამბეჭდავი ცერემონია.

როგორც წესი, ლაურეატთა დაჯილდოების სამასსოვროდ, გამოვიდა რამდენიმე სახელობითი გაზეთი, აგრეთვე, სპეციალური კრებული — „ოქროს ფრთა“, 2003-2005 წ. წ., დაჯილდოებათა ქრონიკა და ლაურეატები.

სპარტაკ ძოგულია

ჯემალ კასარაძის ფოტო.

◎ ესაა სამართალი?

კოტე კუბლაშვილი მოსამართლეებს თანამდებობის დატოვებას სატელეფონო ზარებით აიძულებს

სამწუხაროდ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბევრ სხვასთან ერთად, სასამართლო სისტემა ერთ-ერთი ყველაზე სუსტი წერტილია დემოკრატიის აღმართს შემდგარი ქართული სახელმწიფოსთვის.

ხელისუფლების მესამე შტოს დასახვეწად თითქოსდა რაღაც ნაბიჯების გადადგმა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა პრეზიდენტმა შევარდნაძემ ახალბედა მიხეილ სააკაშვილი აშშ-დან საქართველოში სასამართლო რეფორმის გასატარებლად ჩამოიყვანა, თუმცა მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ქვიშა მაინც დარჩა. კორუფციისა და სხვა უზნეობათა ლაბირინთიდან სასამართლო სისტემის დასახსნელად არიადნეს ძაფს ხელისუფალთ ხელი ჯერაც ვერ გამოჰპარავს. შედეგად სასამართლო ხელისუფლება კვლავ აღმასრულებლის ყურმოჭრილ მონა-მორჩილად რჩება.

ყველაფერ ამის გამო, 21 ნოემბერს, არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ ოფისში პრეს-კონფერენცია გაიმართა.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრმა, ადვოკატებმა და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებმა, ქართული მართლმსაჯულების სფეროში არსებული ქაოსისა და უმსგავსობების შესახებ განგაშის ზარს კიდევ ერთხელ შემოჰკრეს.

ისინი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა ერთი ჯგუფის უკანონო დისციპლინურ დევნაზე ალაპარაკდნენ და იმ მოსამართლეებთან ბრძოლასა და ტერორში, რომლებიც „ზემოდან წამოსულ“ მითითებებსა და ზარებს უგულებელყოფენ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს კოტე კუბლაშვილსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელს ვალერი ცერცვაძეს დასდეს ბრალი.

პრესკონფერენცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ წარმომადგენელმა, ადვოკატმა ლია მუხაშავრიამ გახსნა, ვინც იქ უხვად მისულ ჟურნალისტებს პრობლემური საკითხისადმი გამოჩენილი ინტერესისათვის მადლობა გვითხრა და შემდეგ მთავარ სათქმელს მოჰყვა:

— დღეს ქართული მართლმსაჯულების სისტემაში შეიქმნა ისეთი სიტუაცია, რომ მას სჭირდება ძალიან სერიოზული თანადგომა და უფლებების დაცვა. სამწუხაროდ, საქართველოში მართლმსაჯულების მდგომარეობამ კატასტროფულ ზღვარს მიაღწია და საჭიროა ამის შესახებ საზოგადოებას მიეწოდოს სრული და მართალი ინფორმაცია, — თქვა ლია მუხაშავრიამ.

პრესკონფერენციაზე იყვნენ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები, რომლებსაც სასამართლოს ხელმძღვანელობა დისციპლინურად დევნის. ნინო გვენეტაძე, მერაბ ტურავა და დავით სულაქველიძე, ამგვარ მოსამართლეთა მხოლოდ ნაწილს წარმოადგენენ.

ამ მოსამართლეთა ინტერესების დაცვა სადისციპლინო კომისიაში ოთარ გამყრელიძემ, ანა დოლიძემ და ეკა ბესელიამ იდეს თავს.

მოსამართლეებზე გაუმართლებელი ზეწოლისა და იმ პოლიტიკის მსხვერპლი, რომელსაც ხელისუფლება მართლმსაჯულების წინააღმდეგ ახორციელებს, უზენაესი სასამართლოს მოსამართლე თამაზ ელიაშვილიცაა, რომელმაც თავს გადახდენილი ამბავი გააცნო შეკრებილთ და კოტე კუბლაშვილის უკანონო ქმედებები საუშკარაოზე გამოიტანა.

ამა წლის მაისში უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის მოსამართლეთა კოლეგია, სადაც 7 მოსამართლე მუშაობდა, გაუქმდა, რის შედეგადაც ეს 7 ადამიანი უფუნქციოდ დარჩა.

ეს მოსამართლეები კოტე კუბლაშვილს ალტერნატივის წინაშე დაუყენებია: ან საოლქო სასამართლოში გადადით, ან პენსიაზე გადითო.

თამაზ ელიაშვილმა ორივე პირობაზე უარი განაცხადა და სწორედ ამ დღიდან, როგორც იგი აცხადებს, დაიწყო მის მიმართ უკანონო დევნა.

საქართველოს კონსტიტუციისა და უზენაესი სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის მიხედვით, თამაზ ელიაშვილისა და კიდევ ექვსი მოსამართლისთვის უფლებამოსილების შეჩერება უკანონოდ მოხდა. გარდა ამისა, ეს მოსამართლეები უნდა გადაენაწილებინათ და დაესაქმებინათ საკასაციო პალატებში.

კონსტიტუციის ნორმების უხეში დარღვევისა და უზენაესი სასამართლოს ხელმძღვანელობის თვითნებობის გამო, სისხლის სამართლის მოსამართლეთა კოლეგიის 5 წევრი თანამდებობიდან წავიდა, რაც თამაზ ელიაშვილს არ გაუკეთებია და ამის გამო, როგორც იგი ამბობს, მის მიმართ უკანონო დისციპლინური დევნა აღიძრა.

ამის შემდეგ, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ და სადისციპლინო კომიტეტმა, თამაზ ელიაშვილის დაუსწრებლად მიიღო მისი თანამდებობიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება, რის უფლებაც მათ არ ჰქონდათ.

სწორედ ამგვარ უკანონობაზე აიმაღლეს ხმა უზენაესი სასამართლოს სხვა მოსამართლეებმა, ნინო გვენეტაძემ, მერაბ ტურავამ და დავით სულაქველიძემ და სწორედ ამიტომ აღიძრა ამ ადამიანების მიმართ დისციპლინური დევნა.

მის მიმართ დაწყებული დევნისა და ტერორის დეტალებზე ისაუბრა მოსამართლე მერაბ ტურავამაც, რომელმაც მართლმსაჯულების სისტემაში მიმდინარე უკანონო ქმედებებსა და უზენაესი სასამართლოს ხელმძღვანელობის თავხედობას, „მოსამართლეების ლინჩის წესით გასამართლება“ უწოდა.

კოტე კუბლაშვილი თვითნებობასა და უფლებამოსილების გადამეტებაში ამხილა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ ანა დოლიძემ.

— უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და იუსტიციის საბჭოს ხელმძღვანელობა მოსამართლეებს პირდაპირი სატელეფონო ზარებით აიძულებენ თანამდებობის დატოვებას, რისი მიზეზიც მარტივია, ხელისუფლებას სურს მორჩილი „ჯიბის სასამართლო“ და მას არ სჭირდება უმართავი მოსამართლეები, რომლებიც მის მითითებებსა და ბრძანებებს არ შეასრულებენ, — განაცხადა ანა დოლიძემ, რომელიც სრულყოფილი სასამართლო სისტემის დაუკმაყოფილებელ წყურვილს ჯერ-ჯერობით ოდენ გამაგრილებელი სახმელეთით იკლავდა.

სასამართლო ხელისუფლებაში შექმნილი სიტუაცია სადღეისოდ სავალალოა. მის გამოსასწორებლად კი მკვეთრ ნაბიჯებს ქვეყნის ხელმძღვანელობა ჯერ ვერ (იქნება, არ) დგამს. პირიქით, როგორც აღმოჩნდა, სასამართლო სისტემაში ხელისუფლების მორჩილი მოსამართლეების მომრავლების და დამოუკიდებელ მოსამართლეთა დევნის ტენდენცია სულ უფრო მწყობრ ხასიათს იღებს.

ასეთი რამ კი განსაკუთრებით უზენაეს სასამართლოში დაუშვებელია, ინსტანციაში, სადაც შავ მანტიამოსხმული მოსამართლეები საბოლოო და უმაღლეს გადაწყვეტილებებს იღებენ.

P. S. დევნილი მოსამართლეების ბედიღებალი დისციპლინურ კომისიას 22 ნოემბერს უნდა გადაეწყვიტა, თუმცა ერთ-ერთი მოსამართლის აცილების გამო პროცესი ორი კვირით გადაიდო.

ჯაბა ხუბუა

◎ გვემატოს!

პუტინს, ისაც ჩვენი ქალაქი სურს...

ებრაელი ჟურნალისტი რაფ გინათი საქართველოს მოქალაქე გახდება. საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილმა რაფ გინათს სახელმწიფო კანცელარიაში ინტერვიუს მისცა, ხოლო მოგვიანებით კი დააჯილდოვა და საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა.

პრეზიდენტმა სააკაშვილმა ჩრდილოეთ ოსეთის მოქალაქე ვლადიმერ სანაკოევიც მიიღო და საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა.

„ვლადიმერ სანაკოევი რამდენიმე ხანია აქტიურად ითხოვს საქართველოს მოქალაქეობას. მისი ეს სურვილი თავად პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დააკმაყოფილა“, — განაცხადეს სახელმწიფო კანცელარიაში.

ინტერპრესნიუსი

◎ კანონმდებლები

ბერძენიშვილის ხულიგნობა და გაბაშვილის ბილწსიტყვაობა

წინანდლის იჯარით გაცემის პროცესი სასამართლომ შეაჩერა

წინანდლის სამუზეუმო კომპლექსთან დაკავშირებით ვნებათაღლეღვა გუშინ განათლების კომიტეტის სხდომაზე გაგრძელდა. დეპუტატთა შეკითხვებზე პასუხის გასაცემად ორი მინისტრი იყო მოწვეული. ეკონომიკის განვითარების მინისტრს ირაკლი ჩოგოვაძესა და კულტურის მინისტრს გიორგი გაბაშვილს საკმაოდ დიდხანს მოუწიათ ოპოზიციის თავდასხმებისგან თავის დაცვა.

კომიტეტის სხდომა ოპოზიციის წარმომადგენლებს თავიდანვე უშედეგოდ მიაჩნდათ, რაკი პოსტ ფაქტუმ უწევდათ საუბარი. — დღევანდელ სხდომას აზრი არ აქვს. თქვენ ვალდებული იყავით, საზოგადოებისთვის წინასწარ მიგეწოდებინათ დეტალური ინფორმაცია ასეთი რეზონანსული საკითხის შესახებ, — მიმართა ეკონომიკის მინისტრს ფიქრია ჩიხრაძემ. ჩოგოვაძის ნაცვლად მას გაბაშვილმა გასცა პასუხი, — ხელშეკრულების პირობები გაზეთ „24 საათში“ იყო გამოქვეყნებული, ამასთან, რამდენიმე ბრიფინგიც გავმართეთო. მაინც, ფიქრია ჩიხრაძის თქმით, საზოგადოებას ეჭვი ეპარება, რომ სახელმწიფომ წინანდლის კომპლექსის იჯარით გაცემის გარდა მისი მოცალე-პატრონობის სხვა საშუალებაც სცადა (მაგალითად, სათანადო ფონდის შექმნა), მაგრამ სათანადო შედეგს ვერ მიაღწია.

— ჩვენ სხვა ფორმებზეც გვიფიქრია, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სახელმწიფო მენეჯმენტს კერძო მენეჯმენტი სჯობს, — ასე უპასუხა ეკონომიკის მინისტრმა.

ირაკლი ჩოგოვაძეს ლევან ბერძენიშვილმაც მიმართა შეკითხვებით. როგორ დაიცავი მუზეუმის ინტერესებს, როცა სიტყვა „მუზეუმი“ არცერთ დოკუმენტში არ ფიგურირებს? — უპირველესად ეს ინტერესებდა რესპუბლიკელთა ერთ-ერთ ლიდერს. შემდეგ კი ხმის აწევასაც არ მოერიდა:

— რომ გეუბნებით, სახელმწიფო ვერ უვლის წინანდლის კომპლექსსო, თქვენ არ ხართ სახელმწიფო თუ ოპოზიციაში გადახვედით? თქვენ ვერ უვლით კულტურულ მემკვიდრეობას, თქვენ აფუჭებთ მას და ქვეყნისთვის საზიანო ხელშეკრულებებს დებთ!..

მისთვის პასუხის გაცემა კვლავაც გაბაშვილმა სცადა, მაგრამ ბერძენიშვილმა შეაწყვეტინა, თქვენ მიპასუხეთ, რადგან გოკა თქვენზე მეტად არის დაწნაშავეო, — მიმართა ჩოგოვაძეს, თუმცა, არც ის დაინდო — ისეთი მასწავლებელი გყავდა, ყველაფრის გაყიდვის გარდა არაფერი შეგაგონაო. სხვათა შორის, იმ დროს ტელეკამერები ეროვნული მინისტრის მამის სიახლოვეს არ იდგა, თორემ კოტე გაბაშვილის ბილწსიტყვაობას მთელი საქართველო მოისმენდა — ბერძენიშვილისთვის საგინებელ-სალანძღავი სიტყვები არ დაუშურებია, ოღონდ ხმადაღი.

მიხეილ მაჭავარიანმა ერთხელ თქვა, ერთსუბიექტიანი ტენდერის გამართვა მართებული არ არისო, მაგრამ გუშინ კეონომიკის განვითარების მინისტრი ამტკიცებდა, ძალიანაც სწორიაო.

ყოფილი მასწავლებლის ლევან ბერძენიშვილის საპასუხოდ ირაკლი ჩოგოვაძემ მხოლოდ ის თქვა, მწყინს ასეთ გამოთქმებს რომ იყენებთ, თანაც, თქვენ და გურამ შარაძე ერთ პოზიციაზე რომ დგახართო. სანამ შარაძეს ახსენებ, ბაბუაშენი გიორგი ჯიბლაძე გაიხსენეო, — თავი ვერ შეიკავა ბერძენიშვილმა. ჩოგოვაძემ შეურაცხყოფილად კი იგრძნო თავი, მაგრამ გაჩუმება არჩია — ღმერთი განსჯისო. რაც შეეხება მუზეუმის სტატუსს, მინისტრების მტკიცებით, წინანდლის კომპლექსს ეს სტატუსი იურიდიულად არც არასდროს ჰქონია მინიჭებული, დღეს კი მას ძეგლის სტატუსი იცავს, რაც მისი ხელშეუხებლობის ყველაზე მყარი გარანტიაა. ოპოზიციამ პრეზიდენტის ბრძანებულება გაიხსენა, რომლის თანახმადაც წინანდალის ძეგლის სტატუსი ჩამოერთვა. ეს მხოლოდ იურიდიული ფორმალობა იყო, რათა წინანდლის კომპლექსის სტატუსი საბჭოურის ნაცვლად დღევანდელი კანონმდებლობისთვის რომ შეგვესაბამებინა, სინამდვილეში კი ძეგლის სტატუსი წუთითაც არ ჩამოგვრთმეივია, პირიქით მივანიჭეთო, — ამტკიცებდა გიორგი გაბაშვილი. ლევან ბერძენიშვილმა ეს ფორმულირება — სტატუსი იმისთვის ჩამოვართვით, რომ შემდეგ მიგვენიჭებინოო, — აბსურდულად მიიჩნია. ხმამაღალი კამათის მიუხედავად, ჭეშმარიტება ვერ დაიბადა და ორივე მხარე თავის პოზიციაზე დარჩა. ნოდარ გრიგალაშვილმა ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ თავმჯდომარეს ფრაქციის წევრის ლევან ბერძენიშვილის „ასაკისთვის შეუფერებელი“ ხულიგნობის“ აღკვეთა სთხოვა.

იმის დასადასტურებლად, რომ წინანდლის კომპლექსის მფლობელად სახელმწიფო რჩება და ძეგლს დასაცავად საჭირო ბერკეტები ექნება, კულტურის მინისტრმა ხელშეკრულების პროექტის შესაბამისი მუხლები წაიკითხა. ინვესტორი ვალდებულია, ძეგლს მოუაროს და მისი კეთილმოწყობა უზრუნველყოს. — პირობების დარღვევის შემთხვევაში უფლება გვაქვს, ვადამდე გავაუქმოთ საიჯარო ხელშეკრულება, — დასძინა გაბაშვილმა.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა გუფული მაღრაძემ ხელისუფლების ქმედებები ნაჩქარევად მიიჩნია — წინასწარ ყველაფერი კარგად რომ მომზადებულიყო, ასეთ ვნებათაღელვას არ გამოიწვევდაო. ქალბატონ გუფულიზე ისედაც ფიქრობენ, უმრავლესობის ლიდერების „შავ სიაშია“ თავისი განსხვავებული აზრის გამო, თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება, ვარაუდები გამარალდეს. გაბაშვილი მას არ დაეთანხმა, ყველაფერი მომზადებულია, უბრალოდ, საქმეში ღრმად ჩახედვა არის საჭიროო.

ოპოზიცია ვერც იმ პასუხით დაკმაყოფილდა, რომლითაც ეკონომიკის მინისტრმა ხანგრძლივი ინვესტიცია გაამართლა, — ინვესტორს გრძელვადიანი დაგეგმარების საშუალება უნდა ჰქონდესო. ზვიად ძიძიგურმა ეს არაკვალიფიციურობის ნიმუშად მიიჩნია, რაკი, მისი თქმით, 49 წელი იმდენად დიდი დროა, რომ ამ პერიოდზე გათვლილი ბიზნესგეგმებიც კი არ არსებობს. ოპოზიცია დარწმუნებულია, რომ 49-წლიანი იჯარა იგივე გაყიდვაა — კანონმდებლობა სახელმწიფოს უკრძალავს კულტურული მემკვიდრეობის გაყიდვას, ამიტომაც დაარქვეს იჯარაო. ამ დროის გასვლის შემდეგ შეიძლება, სამუზეუმო კომპლექსის ნაცვლად რაწრო აღმოვაჩინოთო, — აღნიშნა ფიქრია ჩიხრაძემ.

ოპოზიციის პროტესტი, ცხადია, ბევრს ვერაფერს შეცვლის, მაგრამ ამჯერად მას სასამართლოც ეხმარება. „კონსერვატორთა“ სარჩელის თანახმად, გუშინ თბილისის სამქალაქო სასამართლომ წინანდლის კომპლექსის იჯარით გაცემა შეაჩერა.

რუსუდან გახარია

◎ ინფორმაცია

ამერიკელთა საჩუქარი ქართველ ჟურნალისტებს

სანაპირო დაცვის ფოთის დივიზიონში ამერიკულმა მხარემ ქართველ მესაზღვრეებს საჩუქრად საყოფაცხოვრებო დანიშნულების დიდი რაოდენობის ტვირთი გადასცა.

ეს დახმარება გაიცა საქართველოს საზღვრის დაცვისა და კანონის განმტკიცების დახმარების პროგრამის ფარგლებში, რომელსაც აშშ-ს სანაპირო დაცვა 7 წელია საქართველოში ახორციელებს.

როგორც პროგრამის ხელმძღვანელმა და მრჩეველმა საზღვაო საკითხებში ჯონათან თრანბანიმ საუბრისას განაცხადა, 7 წლის მანძილზე ამერიკის დახმარებამ საქართველოს სანაპირო დაცვისთვის 70 მლნ. დოლარი შეადგინა.

რას ერჩიან ჟურნალისტებს?

ჟუბურხინჯში **გუშინ მორიგი ოთხმხრივი შეხვედრა გაიმართა. ტრადიციულად ამ შეხვედრას არ დასწრებიან ქართველი ჟურნალისტები. ეს უკვე რამდენიმე კვირის განმავლობაში აფხაზური მხარის მოთხოვნით ხდება. ქართული სამშვიდობო ძალების სარდალმა ვალერი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ შეხვედრაზე საუბარი შეეხო გალის რაიონში ბოლო დროს არსებულ კრიმინოგენურ სიტუაციას. ქართულმა მხარემ დააყენა მოთხოვნა გამწვავებული კრიმინოგენური სიტუაციის გამოსწორებასთან დაკავშირებით და რუსეთის სამშვიდობო ძალებს უფრო აქტიური ქმედებისკენ მოუწოდა. შეხვედრაზე აფხაზურმა მხარემ განაცხადა, რომ გალის რაიონში არ იმყოფებიან ბოევიკები, იქ შეყვანილია აფხაზური მილიციის რაზმები და მათი რაოდენობა არ აჭარბებს შეთანხმებით მიღწეულ რაოდენობას — 200 სამართალდამცავს.**

საპრეზიდენტო წევრი – ყაჩაღი

ავტომატური **ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული 4-კაციანი ყაჩაღური ჯგუფი გუშინ თავს დაესხა ავტომანქანას, რომელსაც ზუგდიდიდან დარჩენილი მიმართულებით პენსიებისა და ხელფასების თანხა გადაეპქონდა. ოპერატიული ღონისძიების გატარების შედეგად, ზუგდიდის პოლიციის თანამშრომლებმა ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩენილ საკრებულოს წევრი რომან ხუფენია დაკავეს, რომელსაც ყაჩაღობის მცდელობაში ედება ბრალი. მისმა სამმა თანამშრომელმა გაქცევა მოახერხა. პოლიციამ შემთხვევის ადგილიდან ამოიღო ორი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ოთხი ნიღაბი, 8 მჭიდი საბრძოლო ვაზნებით, დანა და სხვა იარაღები.**

მხარს უჭერენ გოჩა ფიფიას

ზუგდიდის **ბაზარში ცენტრალური კარის აღდგენის მოთხოვნით ქალაქის ცენტრში საპროტესტო აქცია გაიმართა. აქციაში დაახლოებით 300 მოვაჭრე მონაწილეობდა.**

როგორც მათი უფლებების დამცველმა ადვოკატმა თემურ თოლორაიამ განაცხადა, ხელისუფლება ზუგდიდის მოსახლეობას, კერძოდ ცენტრალური ბაზრის მოვაჭრეებს ატყუებს, რომ ქუთაისში დაგეგმილი იყო საოლქო სასამართლოს ჩაბარება, რის შემდეგაც ბაზრის ცენტრალური შესასვლელი კარი, რომელიც 8 თვის წინათ გაუქმდა, დღეს ან ხვალ აღდგებოდა.

მისი თქმით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოატყუა მოვაჭრეები, რათა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ვიზიტის დროს ექსცესები არ მომხდარიყო. აქციის მონაწილეებმა თანადგომა გამოუცხადეს ზუგდიდის მაჟორიტარ დეპუტატს გოჩა ფიფიას, რომელიც პარლამენტის სხდომათა დარბაზში შიმშილობს.

დავნაშავეს გამოვლენა უნდა!

ადამიანის **უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი რეგიონული გაზეთის „იმედის“ მთავარ რედაქტორზე გელა მთივლიშვილზე მომხდარ თავდასხმას აპროტესტებს და მედიის წინააღმდეგ თავდასხმების შეწყვეტას მოითხოვს. ამ საკითხთან დაკავშირებით გაზეთ „იმედის“ მთავარ რედაქტორთან ერთად ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრში გუშინ პრესკონფერენცია გაიმართა.**

გელა მთივლიშვილმა განაცხადა, რომ 22 ნოემბერს 22.35 საათზე, გურჯაანში მის საკუთარ სახლში დაუდგენელმა პირებმა ხელყუმბარა შეაგდეს. დაზიანდა საცხოვრებელი სახლი, თუმცა არავინ დაშავებულა.

მთივლიშვილის განცხადებით, რამდენიმე წუთში ადგილზე გამოცხადდა კახეთის რეგიონის სამხარეო პოლიციის ხელმძღვანელობა, თუმცა დამნაშავე დღემდე გამოვლენილი არ არის.

კეთილმოწყობის სამსახურმა კეთილი ინებოს და...

რუსთავის **ხელმძღვანელობა კეთილმოწყობის სამსახურის მუშაობით უკმაყოფილია. რუსთავის ვიცე-მერი კახა თხელიძე თვლის, რომ სამსახურმა იმისთვის, რომ ქუჩები საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გაიწმინდოს, მუშაობა უნდა გააორმაგოს. ვიცე-მერმა კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის გია მაზნიშვილის მისამართით გარკვეული შენიშვნები გამოთქვა.**

„მე მესმის, რომ ხელმძღვანელს არგუმენტები გააჩნია და მას სამსახურში მძიმე მემკვიდრეობა დახვდა. აქედან გამომდინარე, ჩვენ მას ადაპტაციისთვის გარკვეული დრო მივეცით. ახლა კი ვთვლი, რომ საჭიროა ქმედითუნარიანი ღონისძიებები გატარდეს და რუსთავი დასუფთავდეს უკეთესად, ვიდრე ეს აქამდე კეთდებოდა“, - განაცხადა რუსთავის ვიცე-მერმა „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში.

„ოქროს რაინდმა“ ბინა თბილისში დაიდო

რუსეთის **სახალხო არტისტმა ნიკოლოზ ბურლიაევმა თბილისში კინოკლუში „ოქროს რაინდი“ დაარსა. გუშინ სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გამართულ პრესკონფერენციაზე ბურლიაევმა აღნიშნა, კინოკლუში ქართველ მაყურებელს მხოლოდ მაღალი ზნეობის ფილმებს შესთავაზებს. კინოკლუბის დაარსების პირველივე ღონისძიება გუშინ კინოთეატრ „რუსთაველში“ გაიმართა. მოიწყო ცნობილი რუსი რეჟისორის ანდრეი ტარკოვსკის შემოქმედებითი საღამო. ნაჩვენები იყო მისი ფილმი „ანდრეი რუბლიოვი“, რომელიც მსოფლიოს საუკეთესო ფილმების ათეულშია შესული.**

**„ან

⊙ ძვირფასი სილუეტები

„მხოლოდ იმიტომ, რომ მაღალია“

გალზაკი საფრანგეთისთვის

ჩემმა პროფესიამ, მადლობა ღმერთს, უამრავ სახელოვან მოღვაწეს და მამულიშვილს შემახვედრა... პიროვნებები, ხასიათები... ზოგი შუბლგახსნილი და ენაწყლიანი გახლდათ, ზოგიც — გულჩათხრობილი და უკარება... ერთი კია: ყველა ისინი ღირსეული ადამიანები იყვნენ და გულის კოვზზე ჰქონდათ ამოტკვიფრული სამშობლოს სიყვარული...

იმ ადამიანებს შორის, ამწუთას რომ გონებაში წამოტივტივდნენ, სრულიად განსაკუთრებულია საქვეყნოდ ცნობილი მხატვარ-მონუმენტალისტის ბატონი ზურაბ წერეთლის პორტრეტი. ამ პორტრეტზე ერთადერთი სიტყვა კიაფობს — **ნიჭიერება.** მაგრამ, აბა, ერთი ვნახოთ რამდენ „ქვეთავს“ იტევს ეს სიტყვა: „მხატვრობის ნიჭი“, „მშობლისა და სამშობლოს სიყვარულის ნიჭი“, „ორგანიზატორული ნიჭი“, „ადამიანურ ურთიერთობათა ნიჭი“, „კაცთმოყვარეობის ნიჭი“, „ჭირსა და ლხინში გვერდით დგომის ნიჭი“, „ქალის პატივისცემისა და სიყვარულის ნიჭი“, „ქართულ სუფრაზე მოლხენისა და მხარგაშლის ნიჭი“... ეს ყველაფერი კი, ბევრი დამერწმუნება, არის გულწრფელი და არა მოჩვენებითი.

„სიმარჯვის“ ნიჭი გამოგრჩათ, მეგობარო, „სიმარჯვის“, — ირონიულად გაიღიმებს ზოგი.

მართალი ბრძანებაა, მაგრამ საირონიო, სწორედაც რომ, არაფერია. აბა, თქვე კაი ხალხო, უბრალო, ხელმოკლე (ოღონდ ბრწყინვალე გვარი შვილი) თბილისელი მხატვარი, რომელმაც მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის მძაფრ მაჯისცემას ალღო უმალ აუღო, თვინერურ სიმარჯვისა (ნიჭი და პროფესიონალიზმი რომ ახლდა თან), გახდებოდა „მსოფლიო მოქალაქე“?! დაუმეგობრდებოდა გამოჩენილ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებს?! ეს ყოველივე ხომ შემდეგ მან თავისი სამშობლოს სასიკეთოდ გამოიყენა (ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია პარიზში ქართული ეთნოგრაფიის მუზეუმის გახსნა). სწორედ სიმარჯვე ახლდა თან უდიდეს ავტორიტეტს, როდესაც ზურაბ წერეთელი რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტად აირჩიეს... მაშ, როგორ! განა ეს ფაქტი ქართველი კაცის ნიჭის და უნარის, ქართული სახვითი ხელოვნების აღიარებად არ აღიქმება?!.

მთავარია, რომ იმ დიდ, სახელოვან, წინააღმდეგობებით სავსე გზაზე, რომელიც ზურაბ წერეთელმა დღემდე გაიარა, შემთხვევა არ ყოფილა, რომ მას თავისი ბედნიერება სხვის უბედურებაზე აეგოს, კაცობაში ჩაჭრილიყოს, მტყუანი ყოფილიყოს ღმერთის წინაშე...

ამას, ცხადია, ვერ დასწამებენ, და, რადგან შური და ბოღმა ასე იოლად არ ნელდება, ზოგი „ხელოვნებათმცოდნე“, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს, მის შემოქმედებას მიადგა — პასკვილები „გამოაცხო“ და, რაოდენ სამწუხაროა, რომ ამას აჰყყვნენ საქართველოშიც — ფინიებივით „აწკაფწკავდნენ“ „თავისუფლების მონუმენტის“ დადგმის გამო — რაღა დროს მონუმენტალიზმიაო, ზურაბ წერეთლის შემოქმედება ჩავლილი ეტაპიაო, ეს კაცი გეორგიევსკის ტრაქტატს უმღერიდაო და ასე შემდეგ და ასე შემდეგ...

სამაგიეროდ, ამ ბიჭ-ბუჭობას, რომელთაგან ზოგიერთი საეჭვო რეპუტაციის ნაწარმოებით იწონებს თავს და ქართველი ხალხის უწმინდეს სახელებს შეურაცხყოფს, ერთი სიტყვაც არ დასცდენია კიევში დასაადგმელი შოთა რუსთაველის ქანდაკების კონკურსში გამარჯვებული უსახური ნაწარმოების გამო... ეტყობა, იწყება ქართული ქანდაკების განვითარების „ახალი ეტაპი“ და აქ ზურაბ წერეთელი რაღა სახსენებელია!..

გამოჩენილი ხელოვანის დიდსულოვნების დასტური ისიც არის, რომ იგი არასადროს გამოხმაურებია უზნეო გამონათქვამებს, თორემ ჯანსაღი კრიტიკა, სწორედაც რომ, უკეთესისა და უკეთესის შესაქმნელად განაწყობს.

საბედნიეროდ, მთელ მსოფლიოში და, უპირველესად, საქართველოში, ზურაბ წერეთელს დამფასებელი გაცილებით მეტი ჰყავს, სწორედ ამიტომაც (მიუხედავად უსაფუძვლო აჟიოტაჟისა) იდგმება დედაქალაქის მთავარ მოედანზე მისი „თავისუფლების მონუმენტი“ (უსასყიდლოდ გადმოცემული სათაყვანო თბილისისადმი), სწორედ ამიტომაც მიენიჭა გუშინწინ ბატონ ზურაბს ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდ „ოქროს ფრთის“ პრემია, რომელიც მის უამრავ ჯილდოებთან შედარებით, შეიძლება არც ისე ულერადი იყოს, მაგრამ, როგორც თვითონ აღნიშნა, ამ ჯილდოს გადაცემის საზეიმო ცერემონიალზე „შერატონ მეტეხი პალასში“, ეს ფაქტი ქართველ ჟურნალისტმა მისდამი პატივისცემის გამოხატულებაა, ქართულია და, ამდენად, უძვირფასესია.

— თუ მოაღწია თქვენამდე „თავისუფლების მონუმენტის“ დადგმის მოწინააღმდეგეთა ხმებმა და რას ფიქრობთ ამის თაობაზე? — ვეკითხები ბატონ ზურაბს.

...მეტს ვეღარაფერს მეუბნება — გარშემორტყმული თაყვანისმცემლებითა და რეპორტიორებით...

...მე კი ისევ ის „ბოწკავნ კავე ფინეები“ მახსენდება. მაინც, რა უბედურებაა ასეთი ეს შური და ბოღმა?.. დიდმა სულხან-საბამ, სინანულია, სხვისა სიკეთესა ზედაო, დიდმა გალაკტიონმა, მხოლოდ იმიტომ, რომ მაღალია, მარად და მარად ტყდება ჩინარიო...

ჭეშმარიტად!

ვილენ მარდალეიშვილი

⊙ განსჯა

ქვეყანაზე ვაპატიებ ამ ხელისუფლებას, თუ ათასზეთსა და შიდა ქართლს დაგვიბრუნებს

ამბობს აფხაზეთიდან დევნილი პოეტი გენო კალანდია



— ბატონო გენო, „ვარდების რევოლუციის“ ტალღაზე მოსული ხელისუფლების მიერ ამ ორ წელიწადში გაკეთებულ საქმეთაგან ყველაზე თვალსაჩინოდ რომელი მიგაჩნიათ?

— უპირველეს ყოვლისა, დადებითად ვაფასებ ქართული ჯარის აღმშენებლობას. რა თქმა უნდა, ამ საქმეში ამერიკელების დიდი დამსახურება მიუძღვით, მაგრამ უწინდელთან შედარებით, დღევანდელი ჯარი, პროფესიული თვალსაზრისით, სულ სხვაა, რაღაცის იმედს მიტოვებს.

ამის მიუხედავად, ქართულ სახელმწიფოში ბევრი რამ არ მომწონს, თუნდაც ადამიანების მასობრივი დაპატიმრებები, ფულის გამოძალვა და სახელმწიფო რეკეტი. იმავდროულად, მართებულად არ მიმაჩნია ამ ყველაფრის იურიდიული გამართლება.

არ მომწონს, აგრეთვე, ის, რომ ქვეყანაში, ფაქტობრივად, ქართული სასამართლო არ არსებობს. მოსამართლე თვალებში შესაციცინებს პროკურატურის წარმომადგენლებს და მათი მითითების მიხედვით გამოაქვს გადაწყვეტილება.

საზოგადოებამ იცის მრავალი უდანაშაულო ადამიანის ციხეში ყოფნა, ის, რომ ვიღაცას ხელს არ აძლევს მათი გარეთ სანარული. თითქმის წელიწადნახევარია მიმდინარეობს სულხან მოლაშვილის, დავით მირცხულავას სასამართლო პროცესები და კვლავ გაურკვეველია, რაში ედებათ მათ ბრალი. ვრწმუნდები, რომ ერთიც და მეორეც ხელისუფლების პირადი პატიმრები არიან.

„ვარდების რევოლუციას“ ხალხი იმედით შეჰყურებდა, გვეგონა, წლების მანძილზე ისედაც გატანჯული ადამიანები სამუშაოს იშოვიდნენ, რაღაც ეშველებოდათ, მაგრამ პირიქით მოხდა — ხელფასები გაიზარდა სამსახურებიდან დათხოვნილი ადამიანების ხარჯზე. თავად განსაჯეთ, წავიკითხე ინტერვიუ გარემოს დაცვის მინისტრთან გიორგი პაპუაშვილთან. ამ სამინისტროში თურმე 460 ადამიანი მუშაობს და ეს რიცხვი 400-ით უნდა შემცირდეს. სად წავიდეს ამდენი უმუშევარი?

ფიზიკურად როგორ გადარჩება ის ოჯახი, სადაც მხოლოდ ერთი ადამიანია დასაქმებული და იმასაც რეფორმების რეორგანიზაციის გამო შინ უშვებ?

რა უბედურებაა ამდენი შადრევნის გახსნა, როცა ირგვლივ გაუსაძლისი ვითარებაა შექმნილი? რა დროს შადრევნები და ფეიერვერკებია? ამაზე უამრავი ფული იხარჯება. გავიხსენოთ შარშან ჭიაბერაშვილის დადგმული ნაძვის ხე და ერთი შოუ-კონცერტისთვის გადაგდებული 60 ათასი ლარი. უმჯობესი იქნებოდა, ეს ფული დევნილებისთვის ან მინისძვრით დაზარალებულთათვის მიეცათ.

— დიდი მამულიშვილის ქალქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტის ლევილიდან სამშობლოში ჩამოსვენებას ოპოზიცია კვლავაც პიარ-აქციად მიიჩნევს. ამბობენ, ეს ხელისუფლება ძეგლმამანიამ შეიპყრო, თანაც მშობლიურ კულტურას უგულებელყოფსო. თქვენ რას იტყოდით?

— საქართველოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობისთვის თავშენირული ადამიანის ანდერძის აღსრულება და საქართველოში ჩამოსვენება დიდი ისტორიული მნიშვნელობის აქტია, მაგრამ ის ფაქტი, რომ სამების ტაძარში ხელისუფლების წარმომადგენლების შესვლისას ხალხს გზა გადაუკეტეს, აღმაშფოთებელია.

ვფიქრობ, დღევანდელი ხელისუფლების მშობლიური კულტურისადმი დამოკიდებულება ანტაგონიზმით და ნიჰილიზმით ხასიათდება.

როგორ შეიძლება ქალაქის მერი ერთდროულად იყოს მოქანდაკეც, მხატვარიც, დიზაინერიც და არქიტექტორიც, სპეციალისტებს კი არაფერს ეკითხებოდეს? თუ ეს ასე არ არის, მაშინ საზოგადოებას გააგებინონ, ვინ არის იმ კომისიაში, რომლის დასტურითაც უნდა დაიდგას ზურაბ წერეთლის ძეგლი თავისუფლების მოედანზე. მე ამას კატეგორიულად ვეწინააღმდეგები. ჩვენ გვყავს ნიჭიერი მოქანდაკეები, რომელთაც ობიექტურად გამართული კონკურსი გამოავლენს, ოღონდ იგი კიევში დასადგმელი რუსთაველის ძეგლისთვის გამიზნულ კონკურსს არ უნდა დაემსგავსოს.

გამოდის ტელევიზიით მინისტრის მოადგილე თათა ქვარიანი და ისეთი დარწმუნებით აცხადებს, კონკურსში 24 წლის მოქანდაკემ გაიმარჯვა, ვიფიქრე, რაღაც სასწაულს შექმნიდა-მეთქი. მაგრამ, სამწუხაროდ, ვიხილეთ უფერული, ამოჩხაპნილი რაღაც. ასეთი რამ საფიჩხიის სასაფლაოზე თუ მინახავს.

ეროვნული კულტურის უგულებელყოფა აშკარაა. არ შეიძლება დაიხუროს ისეთი ქართული ჟურნალები, როგორიცაა: „მნათობი“, „ცისკარი“, და ამომდიოდეს იაფფასიანი სექსუალურ-მანიაკური ჟურნალ-გაზეთები. „მნათობი“ და „ცისკარი“ აფხაზეთის ომის დროსაც კი არსებობდა. ყველა ათწლეულს თავისი გემოვნება, მსოფლმხედველობა და ფიქრი გადააქვს ქაღალდზე. შეიძლება დღევანდელი თაობისგან განსხვავებით, ჩემი თაობა სხვაგვარად აზროვნებდეს, მაგრამ არის ერთი დიდი საერთო გზა, რომელსაც ქართული გზა ჰქვია და ამ გზას დღეს გადაუხვიეს.

ეს ყველაფერი გროვდება და ხალხის უკმაყოფილებას იწვევს. გული მწყდება, რომ ჩვენ სწორი გზით არ მივდივართ.

— რას გულისხმობთ?

— თუნდაც იმას, რომ არც მოსახლეობის და არც აღიარებულ ხელოვანთა რიდი არ აქვთ. დავით აღმაშენებლის ძეგლის გადასატანად კვარცხლბეკი ისე მოამზადეს, ავტორს — მერაბ ბერძენიშვილს არც შეეკითხნენ. ეს არის უტიფრობის დიდი გამოვლენა, რაც საზოგადოებას აღიზიანებს. მაგრამ უკან დაიხიეს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლესთან დაკავშირებული ამბების გამო, რადგან საზოგადოების მძაფრ პროტესტს წააწყდნენ.

იხ. მე-6 გვ.

⊙ ინფორმაცია

ზამთრამდე დავიცადოთ

სატრანსპორტო მარეგულირებელი ეროვნული კომისია საქართველოში 1 თებერვლამდე არ ჩამოყალიბდება. გუშინ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მთავრობის საპარლამენტო მდივანი გიორგი ხუროშვილი საკანონმდებლო ინიციატივით გამოვიდა და მოითხოვა, პარლამენტმა დაჩქარებული წესით განიხილოს ის კანონპროექტი, რომელიც ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის შექმნას ითვალისწინებს.

„2005 წლის ზაფხულში პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც ამჟამად მოქმედი საჰაერო, საავტომობილო და საზღვაო ტრანსპორტის ადმინისტრაციების ნაცვლად ერთი სატრანსპორტო ადმინისტრაციის შექმნას ითვალისწინებდა.

ინტერპრესნიუსი

ენერგეტიკული სამიტი მოსკოვში

საძართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი 24 ნოემბერს მოსკოვში გაემგზავრა. იგი მონაწილეობას მიიღებს დსთ-ს ქვეყნების მთავრობათა მეთაურების სამიტში, სადაც ენერგეტიკის საკითხები განიხილება. სამიტს დაესწრება საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაურიც, რომელიც სამუშაო ვიზიტით მოსკოვში სამი დღის წინათ ჩავიდა. ვიზიტის ფარგლებში ზურაბ ნოღაიდელი თავის რუს კოლეგას მიხაილ ფრადკოვს, საგარეო საქმეთა და ტრანსპორტის მინისტრებს შეხვდება. ამ შეხვედრებზე საუბარი კონფლიქტების დარეგულირებისა და საქართველოში გაზის ტრანსპორტირების საკითხებს შეეხება.

„ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი რეგიონის დემილიტარიზაციაა. იქ არის უამრავი მძიმე ტექნიკა და ეს საკითხი ძირითადად რუსეთთან არის განსახილველი, ვიდრე ოსეთის დე ფაქტო ხელმძღვანელობასთან“, — განაცხადა მოსკოვში გამგზავრების წინ ზურაბ ნოღაიდელმა.

მედიანიუსი

არადა, დაყადაღების უფლება არა აქვთ!

კომპანია „სიერა ოილ ინტერპრაისის“ მიმართ არსებული ვალის გამო „საქაერონავიგაციის“ ანგარიშები შვეიცარიაშიც დაყადაღდა. ამის შესახებ „საქაერონავიგაციის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ გიორგი კარბელაშვილმა განაცხადა. როგორც კარბელაშვილმა განაცხადა, 25 ნოემბერს დაგეგმილია სასამართლო სხდომა ჰოლანდიაში, სადაც უნდა განიხილონ ამ კომპანიის მიმართ არსებული ვალის დაფარვის საკითხი.

„კომპანია „სიერა ოილ ინტერპრაისი“ როგორც კი შეიტყობს რომელიმე ქვეყანაში ჩვენი ანგარიშების არსებობის შესახებ, საკუთარი ფილიალების მეშვეობით ცდილობს ადგილობრივ სასამართლოში გვიჩივლოს და ანგარიშები დააყადაღოს. თუმცა, ტყუილად ირჯება და ფულსაც ტყუილად ხარჯავს“, — განაცხადა კარბელაშვილმა.

მისი თქმით, „საქაერონავიგაცია“ კერძო სამართლის იურიდიული პირია, ამიტომ მისი ანგარიშები სახელმწიფო ვალის გამო არ შეიძლება დაყადაღდეს.

ინტერპრესნიუსი

სიმპოზიუმი უნივერსიტეტში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 24 ნოემბერს საერთაშორისო სიმპოზიუმი „ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწმყო, მომავალი“ გაიხსნა. სიმპოზიუმის ორგანიზატორია საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი. მასში 202 მომხსენებელი მიიღეს მონაწილეობას, რომელთაგან 37 ევროპიდან და ამერიკიდან ჩამოსული მართლმადიდებელი უცხოელია.

საქართველო-საბერძნეთი: საქმიანი კონტაქტები

გუშინ საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი ოფიციალური სამუშაო ვიზიტით საბერძნეთში გაემგზავრა. ათენში გელა ბეჟუაშვილი საბერძნეთის ხელისუფლების უმაღლეს პირებს, მათ შორის ქვეყნის პრეზიდენტს შეხვდება. მხარეები საქართველოსა და საბერძნეთს შორის ურთიერთობის გაღრმავებაზე ისაუბრებენ. **განსაკუთრებული** ყურადღება ეკონომიკურ საკითხებს დაეთმობა.

მედიანიუსი

ფეიქები გიორგი პირველის საფლავს...

ძუთაისში, ბაგრატის ტაძარში კიდევ ერთი მდიდრული აკლდამა აღმოაჩინეს. არქეოლოგიური გათხრები ტაძრის ტრაპეზში, სადაც ავკნოს ტერიტორიაზე ჩატარდა. ახალი სამარხი, ისევე, როგორც ორი კვირის წინათ აღმოჩენილი აკლდამა, XI საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება. არ არის გამორიცხული, რომ აღმოჩენილი სამარხი სწორედ მეფე გიორგი პირველს ეკუთვნოდეს.

ექსპედიციის ხელმძღვანელის ომარ ლანჩავას განცხადებით, ეს უნიკალური აღმოჩენაა, რადგან საფლავში სამეფო ჭურჭელი, ძირითადად ძვირფასი მინის, ბრინჯაოსა და კერამიკის ნაშთებია ნაპოვნი.

არქეოლოგიური გათხრები ქუთაისის ბაგრატის ტაძარში კულტურის სამინისტროს მილიონიანი პროექტის დაფინანსებით ხორციელდება.

ინტერპრესნიუსი

⊙ ბრალდება

როდის დაწვავენ გია ნოდიას ფიტულს?

„ვარდების ხელისუფლება“ სოროსის ხელის გულიდან საკმაოდ ნოყიერ საკენკს რომ კენკავს, არა მგონია, ვინმესთვის უცხო იყოს. ძია ჯოჯაგის ფულები საქართველოში ციბრუტივით ტრიალებს და სახელისუფლებო ეშელონების გარდა მანკიერ ასიგნაციებს სხვადასხვა არასამთავრობო თუ ფსევდოარასამთავრობო ორგანიზაციებიც ხარბად ეტანებიან.

ამ რამდენიმე თვის წინათ (სექტემბერში) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა გურამ შარაძემ გენერალურ პროკურატურას არასამთავრობო ორგანიზაცია „კავკასიური ინსტიტუტისა“ და მისი ხელმძღვანელის გია ნოდიას წინააღმდეგ მამხილებელი მასალები გადასცა ნოდიასა და მისი ორგანიზაციის მიერ საკმაოდ მსხვილი უცხოური გრანტების გაფლანგვასა და არასწორ ხარჯვაზე.

თუმცა, გარდა „გრანტებისა“, შარაძე ნოდიას სხვა, ერთობ მძიმე ბრალდებებსაც უყენებს და მას სოროსის მოციქულადაც მიიხსენიებს.

გურამ შარაძე ამბობს, რომ გია ნოდია არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფაკულტეტების შემცირებისა და ღირსეულ პროფესორ-მასწავლებელთა დედაუნივერსიტეტის კედლებიდან გაძევების ერთ-ერთი ინიციატორი.

მთავარი ისაა, რომ თურმე ნოდია უნივერსიტეტიდან პროფესორებს ორი საბაბით ანთავისუფლებს: მექრთამე-კორუმპირებულები და მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგები ხართო.

ამ ყველაფერს, სხვა რომ არაფერი, უბრალოდ კურიოზად მიიჩნევს ბატონი გურამ შარაძე და ამბობს, გია ნოდიას, კანონიერს ვინ ჩივის, მორალური უფლებაც არა აქვს, უნივერსიტეტელ პროფესორებს მექრთამეობა და კომუნისტობა დასწამოსო.

— როცა ადამიანი სხვებს კორუმპირებულობასა და მარქსიზმ-ლენინიზმის ერთგულებას აბრალებს, როგორც მინიმუმ, მოეთხოვება, თვითონ არ იყოს ასეთივე, — აცხადებს გურამ შარაძე და ნოდიას თავის და თავისი ოჯახის წარსულს ახსენებს.

— გია ნოდია თავად არის „მამალი“ კომუნისტური ოჯახის წევრი. ასე რომ, კომუნისტური ნიშნით, გია ნოდიას არანაირი მორალური უფლება არა აქვს, უნივერსიტეტიდან ვინმე ყოფილი კომუნისტი დაითხოვოს, — ასკვნის ბატონი შარაძე.

თუმცა გურამ შარაძემ ისიც იცის, რომ მამების ცოდვებზე შვილები პასუხს არ აგებენ და გია ნოდიას თავის უშუალო წარსულსაც წამოაძახებს.

პროფესორთათვის მარქსიზმის იდეოლოგობის დამბრალებელ ნოდიას ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი სწორედ მარქსიზმ-ლენინიზმში მოუპოვებია. მას 80-იან წლებში დისერტაცია დაუცავს თემაზე: „შრომის კატეგორია მარქსისტულ ფილოსოფიაში“.

განსაკუთრებით საინტერესო კი ისაა, რომ ნოდიას დისერტაციას ასეთი წანამძღვარი ახლავს: **„ნაშრომი შესრულებულია კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე და სკკპ-ს გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოხსენებებისა და მითითების საფუძველზე“.**

— აი ასეთი კაცი ყრის უნივერსიტეტიდან პროფესორ-მასწავლებლებს მარქსიზმ-ლენინიზმის ნიშნით, — აღშფოთებულია ბატონი შარაძე.

ნოდიას მარქსისტ-ლენინისტობის სხვისთვის წაძახების უფფლებობაზე რომ მიუთითა, გურამ შარაძე მის კორუმპირებულობაზეც ალაპარაკდა.

ბატონი შარაძის კონფიდენციალური წყარო, ვინც მას გია ნოდიას ფინანსურ მაქინაციებზე ინფორმაცია მიაწოდა, თურმე იმ გრანტების გამანაწილებელი კომისიის ყოფილი წევრია, რომელსაც ნოდია თავის დროზე ხელმძღვანელობდა.

გ. შარაძე: ერთ-ერთ გრანტზე გამოცხადებული კონკურსის მონაწილეები გია ნოდიამ აინუნშიაც არ ჩააგდო და რამდენიმე ათასი დოლარი (ზუსტი თანხა უცნობია) საკუთარ ცოლს არგუნა.

გურამ შარაძე ამბობს, რომ ასევე მოიპოვა ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც გია ნოდიას გრანტების მითვისებაში ამხელს, კერძოდ, ილია ჭავჭავაძის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი რექტორის, პროფ. იური მოსიძის მიერ 2004 წლის 16 დეკემბერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ლიცენზირებისა და აკრედიტაციის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ნინო ჩუბინიძისთვის გაგზავნილი დოკუმენტი, სადაც

გრანტების გამანაწილებელი კომისიის უკანონო ქმედებებია აღწერილი.

დოკუმენტის ერთ-ერთ პუნქტში მითითებულია, რომ გია ნოდიამ და მისმა კომისიამ უკვალოდ გააქრო საკმაოდ დიდი ოდენობის თანხა. ეს არისო 2002 წელს ფოლკსვაგენის ფონდის გრანტი ერთობლივი პროექტისათვის ბოხუმისა და ბაიროითის უნივერსიტეტებთან ერთად. პროექტის სახელწოდებაა: „მეცნიერული ინფრასტრუქტურა და სასწავლო რეფორმა საქართველოში, ფილოსოფია და სოციოლოგია თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლური აზროვნების კვლევის ინსტიტუტში“. **პროექტის ბიუჯეტი — 199 ათას 675 ევრო უკვალოდაა გამქრალი. პროექტის ავტორები კი გია ნოდია და გიგი თევზაძე არიანონ.**

განათლების სამინისტროში ამ დოკუმენტის გაგზავნის შემდეგ იური მოსიძე ენისა და კულტურის უნივერსიტეტის რექტორობიდან მოხსნესო, ამბობს ბატონი გურამი და დაუმატებს, რომ უცხო ენების ინსტიტუტში, სადაც გია ნოდია ფილოსოფია-სოციოლოგია-პოლიტოლოგიის ფაკულტეტის დეკანია, უკანონოდ ბატონ-პატრონობს უცხო ენების ინსტიტუტის აუდიტორიებს და იქ თავისი ორგანიზაციის, „კავკასიური ინსტიტუტის“ ოფისი აქვს განთავსებული, რის გამოც სტუდენტები აუდიტორიებში ვერ ეტევიან და სწავლა რამდენიმე ცვლად უწევთ.

— ბატონ კეზერაშვილს და ფინანსურ პოლიციას შესანიშნავ „ლუკმას“ ვაძლევ: შეცვივდნენ უცხო ენების ინსტიტუტში, შეაგროვონ ყველაფერი, რამდენს უხდის სახელმწიფოს გია ნოდია და რა მაქინაციებს ეწევა მის მიერ დანიშნულ რექტორთან, ქალბატონ ნინო ფირცხალავასთან ერთად, რომელიც ნოდიას ყურმოჭრილი მონაა, — აცხადებს გურამ შარაძე.

გენერალურ პროკურატურაში გია ნოდიას წინააღმდეგ სარჩელი გურამ შარაძეს ამა წლის 13 სექტემბერს შეუტანია.

შეპირდნენ, საქმეს სასწრაფო მსვლელობას მივცემთო, მაგრამ სამი თვე მიილია და პროკურატურაში ყური ჯერაც არავის შეუბერტყავსო. გ. შარაძე დარწმუნებულია, რომ გენერალურ პროკურატურაში ნოდიას წინააღმდეგ სარჩელის მიჩუმათება სურთ და ამიტომაც გამართა საპროტესტო აქცია „დიდ ერთად პროკურატურის შენობის წინ, თუმცა რაიმე შედეგი არც ამ აქციას გამოუღია.

თუ გენერალურ პროკურატურაში ჩემს სარჩელს ადგილს მტვრიან თაროზე მიუჩენენ, მაშინ პროტესტის განსაკუთრებულ ფორმას მივმართავთო, აცხადებს პროფესორი შარაძე (როგორც მან ექსკლუზიურად გაგვიმხილა, გია ნოდიას ფიტულს უნივერსიტეტისა და გენერალური პროკურატურის ეზოში დაწვავს).

ჯაბა ხუბუა

P. S. ობიეძტურობისა და იმის გამო, რომ მკითხველს უკმარისობის გრძნობა არ დარჩენოდა, გურამ შარაძესთან საუბრის დამთავრებისთანავე ბატონ გია ნოდიას დავუკავშირდი და ბრალდებებზე საპასუხოდ ჩვენი გაზეთის ფურცლები შევთავაზე.

გია ნოდიამ მოუცლელობა მოიმიზეზა და შეხვედრაზე უარი გვითხრა.

გურამ შარაძე ფიქრობს, რომ „ქურდს ქუდი ეწვის“.

— ნოდიას რომ ცილს ვწამებდე და ის მართალი იყოს, ამ სამი თვის მანძილზე რატომ არ გააკეთა ერთი განცხადება ან კომენტარი მაინც ჩემს ბრალდებებზე? — კითხულობს გურამ შარაძე.

ამაზე პასუხს ჩვენ ვერ გავცემთ, აი, ბატონი გია ნოდია თუ დააპირებს...

ჯ. ხ.

ლიტერატურული საუბარი

მოვა დრო, შენ ძალი დაიკარგო და ნამდვილი ოქროსფერი დაირეკოს

ევროპაუწრეტა ირმა მალაციძე

დაიბადა ხაშურში; დაამთავრა ხაშურის მე-3 საშუალო სკოლა, 2002 წელს — შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს ინსტიტუტის კინოჟურნალისტიკის ფაკულტეტი; 2004 წელს გამოიცა მისი პირველი საბავშვო წიგნი — „სატკბილეთის ქვეყანა“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა); ამავე წელს „სიესტამ“ გამოსცა ირმა მალაციძის პროზაული კრებული „ფატია“. კრებული წარდგენილი იყო ლიტერატურულ პრემიაზე „საბა“, ნომინაციაში „საუკეთესო პროზაული კრებული“;

არის საქველმოქმედო პროექტის „ზღაპრები ირმა მალაციძისაგან“ ავტორი - ეს არის 10 ზღაპრის აუდიოჩანაწერი, რომლის გმირებსაც ახმოვანებენ ცნობილი პოლიტიკოსები. აუდიოკასეტები უფასოდ გადაეცათ უსინათლო ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს.

მონაწილეობდა ლიტერატურულ კონკურსში „ეენ-მარათონი 2003“. კონკურსზე შექმნილი მოთხრობა „სოლომონა“ შესულია საუკეთესო ათეულში; 2003 წელს საბავშვო ჟურნალ „დილის“ 100 წლისთავისადმი მიძღვნილ კონკურსში „ახალი სახელები ქართულ საბავშვო მწერლობაში“ მიენიჭა პირველი პრემია (ზღაპრისთვის „ლოკოკინა სახელად ქერამუჭა“);

იბეჭდება ლიტერატურულ გამოცემებში: „არილი“, „პარნასი“, „ლიტერატურული პალიტრა“, „ალტერნატივა“, საბავშვო პერიოდულ გამოცემებში „დილა“, „12 მტრედი“, „ნაკადული“ და სხვა.

მუშაობს სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოში;

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი;

1. რას ფიქრობთ XXI საუკუნის ქართულ ლიტერატურულ ტენდენციებზე?

2. გამართლებულია წიგნის გადაქცევა კომერციისა და ბიზნესის საგნად? როგორ წიგნს ეყოლება მკითხველი მომავალში?

3. რა მიგაჩნიათ არსებით პრობლემად საქართველოსთვის?

4. როგორ აფასებთ ტრადიციულ კლასიკურ მწერლობას? რა შეგძინათ თქვენ, როგორც მწერალს? რომელია თქვენი სამაგიდო წიგნი?

5. რას იტყოდით ქართული ენის მიმართ მწერლის დამოკიდებულებაზე?

6. რაზე მუშაობთ ამჟამად?

ირმა მალაციძე

წაკიდებულ აქლემებს შორის მომწყვდეული კოზაკივით იჭყლიტებოდა მენაგვე გულნაზა თავის ჭირსა და ვარამს, ფიქრსა და წუხილს შორის. ჭირის თქმა ლხინიაო, კი გაეგონა სადღაც, მაგრამ ვისთვის უნდა შეეჩივნა თავისი გასაჭირი, ამას ვეღარ ხვდებოდა. მტრედისფერი განთიადი მხოლოდ გულს ურევდა და ზიზღს ჰბერავდა — ეს გაურკვეველი ფერის ჭუჭყით გასიპული ტილოს შარვალ-ხალათიც სძაგდა, საკუთარი თავიც და აყროლებული მანქანის ძარაც, სადაც ყველაფრის ბატონ-პატრონი და განმკარგავი მხოლოდ თვითონ იყო. ყოველ ახალ ეუჭსათან მიახლოებისთანავე ნაგვის მანქანის ძარაზე ამხედრებული გულნაზა ტუჩებზე მიიდებდა საერთოდ თეთრ, მაგრამ ჭუჭყისაგან გაშავებული საყვირის პლასტმასის ტუჩს და მთელი ძალით თითქოს ცდილობდა, ამ პატარა ქალაქის ბინადართათვის თავისი უბადრუკი არსებობა შეეხსენებინა.

იცოდა გულნაზამ საყვირის ძალა. იმასაც გრძნობდა, მიუხედავად ასაკისა და სქესისა, ეროვნებისა და სოციალური მდგომარეობისა, ყველას ეჩქარებოდა ნაგვის თავიდან მოშორება და მასზე ზრუნვის გულნაზაზე გადაბარება — ბუ, დიდი თავი გაქეს და შენ მიხედეო. თავად კი, გულდაარხეინებული უბრუნდებოდნენ თბილ ლოგინებს. უფორმ მარჯვეები ხელებიდან მიკრობებს იშორებდნენ და ახალი დღის გალევას ხალისით იწყებდნენ. გულნაზაც წარბშეუხრელად, საათის მეკანიზმივით ზუსტად და თანმიმდევრულად ასრულებდა ერთსა და იგივე მოქმედებას — ტილოსხელთ-ათმაწნამოცმული მარჯვენით იღებდა გამოწვდილ, ნაგვით სავსე ვედროს, ფსკერზე ამოსდებდა მარცხენა ხელის საჩვენებელ თითს და გულუხვად მოაპირქვავებდა სანახევროდ ნაგვით სავსე ძარაზე. თუ ნაგავი სადმე ღობის ძირში იყო დაყრილი, გულნაზა ძარიდან ჩამოცოცდებოდა, ბრტყელ ნიჩაბს დროშის ტარივით დაატრიალებდა და მის პირზე მოგროვილ ნარჩენებს მწიფე პანტასავით დაასვეტყვავდა მანქანის ძარას.

ვინ იცის, რა ხრიკს უმზადებდა ამჯერად ვერაგი და ორგული ბედი. არც არასდროს ყოფილა მისი გულშემატკივარი და მასზე ფიქრით დიდად თავშეუხებული. ახლა კი, საერთოდ, მახეს უგებდა და კალმახივით თავის ბადეში უპირებდა მომწყვდევას. მე შენ გეტყვი და, თავის დასახსნელად ბასრი დანა ჰქონდა მომარჯვებული. ასეც რომ ყოფილიყო, ცურვაც არ იცოდა გულნაზამ და რა თავში იხლიდა ან დანას, ან მისი ბასრი პირით მოპოვებულ თავისუფლებას. რა მნიშვნელობა ჰქონდა ბადეში გაბმულს ჩაუბრუნებდა ტალღა ნატანჯ სულს გულ-მუცელში, თუ ბადის მიღმა. ბედმა ის არ აკმარა, რომ მშობელმა დამპალი ვაშლივით მოისროს და დედის რძით პირის გასვლება არ აცალა, ისე მიუგდო უცხო ადამიანებს თავში სახლეკლად.

„ბბა იმის ნაშიერი რა უნდა გაიზარდოს, შვილს ქუჩაში ასანთის დამწვარი ღერივით რომ მოისვრისო“, — იფიქრეს უშვილო ცოლ-ქმარმა და არც მათ აუკანკალდათ ხელი 02-ის აკრეფისას. და ასე, ხელიდან ხელში გარდამავალი დროშასავით გადადიოდა ქვეშაგებში გამოკრული პატარა გულნაზა, ვიდრე საბოლოოდ ჩვილ ბავშვთა სახლში არ ამოყო თავი. იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ უპატრონო ბავშვების მოვლა ამ უკიდეგანო ქვეყნის კანონთა მიხედვით სწორედ მას ევალებოდა. იგივე კანონით, ამ ბავშვების ჭამა-სმაზე, ჩაცმა-დახურვასა და სწავლა-განათლებაზე მათ აბსტრაქტულ მეურვეს, სახელმწიფოს უნდა ეზრუნა და ეჭყლიტა ტვინი. თუმცა იმ კანონში კრინტიც არ იყო დაძრული საკვები პროდუქტების ვარგისიანობაზე, ტანსაცმლის მდგომარეობასა და სწავლა-განათლების ხარისხზე. შესაბამისად, არც არავინ კითხულობდა, კუჭ-ნაწლავის გასტრიტი აწუხებდა გულნაზას, იდაყვებზე გამოგლეჯილი ჯემპრი და ძირგავარდნილი ფეხსაცმელი ეცვა თუ ისე ერკვეოდა გეოგრაფიასა და მათემატიკაში, როგორც ცხვარი — ბიბლიაში.

„ამასაც თუ მოსვლა ჰქვია, ან რისთვის მომიგდო ღმერთმა სამალლოდ ეს დამპალი სიცოცხლეო!“ — ბრაზობდა მთელ სამყაროზე გულმოსული გულნაზა და ცხიმით გაწეპილ ქერტლიან თმას სარჭით იმაგრებდა კეფაზე. თუ დაბადების მოწმობას დაეჯერებოდა, მეთექვსმეტე წლამაც ისევე საჩუქრებისა და მილოცვების გარეშე მოუკაკუნა კარზე, როგორც წინა თხუთმეტმა. თუმცა ერთი უჩვეულო რამ მაინც მოხდა — გულნაზას ფართოდ გაუღეს ინტერნატის წითელი საღებავით შეღებილი, სახელურმომტვრეული კარი და დიდ ცხოვრებაში დაუოდეს ფეხი. არ დაუკონკრეტებიათ, მოასფალტებული თუ მოკირწყლული, ტალახიანი თუ ეკლიანი ბილიკი. თითო—ოროლა ბრძნული რჩევა საგზლად გაატანეს და მასზე ზრუნვა წისქვილზე წასაალი სიმინდის ტომარასავით ჩამოიხსნეს მხრიდან, ვითომდაც, ცოტას შევისვენებთ და როცა ვინმე სულწაწყმედილი, უნამუსო ქალი შვილს ძაღლის ლეკვივითად გადაადგეს ქუჩაში, ახლა იმის ზიდვას შევუდგებითო.

ასე უკომპასოდ, უსახლკაროდ, უფფუნქციოდ, უპატრონოდ და კიდევ ვინ მოსთვლის, რამდენ უუოდ დარჩენილი გულნაზა კი დიდი ქვეყნის პატარა ქალაქს ისე სჭირდებოდა, როგორც ვირს — კრიალოსანი. ერთადერთი ადგილი, სადაც მისი შრომა შეიქნა საჭირო, ქალაქის დასუფთავების სამსახური აღმოჩნდა — იმდენი ხელფასი დაუნიშნეს, შიმშილით სული რომ არ გასძრობოდა, გარეუბანში, მუშათა ბარაკებში, ნესტიანი ოთახი გამოუყვეს, ტილოს შარვალ-ხალათსა და სამი ზომით დიდი რეზინის ჩექმებში გამოაწყვეს, ხელში ნიჩაბი და საყვირი მისცეს და ყველას ნაგავზე ზრუნვა დაავალეს.

მალე შეეჩვინა გულნაზა აყროლებულ ძარაზე ჯდომას, დღეინადგა კონსეტრის ქველი ქილების, კარტოფილის ქერქების, დაგლეჯილი ფეხსაცმელების და ათასი სხვა სისაძაგლის დამპალი სუნის უკვე იმუნიტეტგამომუშავებული ფილტვებით ყლაპავს და ხანდახან მეჩხერი და დაჭიანებული კბილებით იღიმებოდა კიდეც, როცა პატარა ბიჭები უბან-უბან ყიჟინით დასდევდნენ და მთელი ხმით გაჰყვიროდნენ: „გულნაზა, გულნაზა, გავხარ ნაგვის ურნასა!“

გაშლილ სუფრასთან არავინ ეპატიჟებოდა. მხოლოდ დახრული ძალებისა და თევზის ფხების საიმედოდ დებინავებას ანდობდნენ, რათა სიცხეში აყროლებულ ნასუფრალს მათი სათუთი ყნოსვა არ შეეშფოთებინა. მხოლოდ ნასუფრალი თუ ერგებოდა, ისიც ხანდახან, პაკეტში უწესრიგოდ ჩაყრილი საჭმლის სახით, რომელსაც არც ფორმა შერჩენოდა და ერთმანეთში ისე აზელილიყო, გემოთი თუ ივარაუდებდი, რას ჭამდი — ქათმის ნაჭერს, დანიგვზულ ბადრიჯანს, თუ „ერევნის ქადას“.

გულნაზას ბედნიერება იმ წუთებში იმ ძაღლისას არ აღემატებოდა, პატრონი ცხრაჯერ გალოკილ და ტვინგამოცლილ ძვალს რომ მიუგდებს. არადა, ყველაფერი იცოდა გულნაზამ. ფანჯრებში შეჭყეტდაც არ სჭირდებოდა, ისე ხვდებოდა, ვინ რა სულით სუნთქავდა, ვის რა ჰქონდა სადილად, ვის თირკმელები აწუხებდა, ვის კი — გაცრუებული სიყვარული, ან ვინ რამდენი ელექტროენერგია დახარჯა იმ თვეში. იქექებოდა სხვის ნაგავსა და სხვის ცხოვრებაში გულნაზა, მაგრამ გარდა ბოსტნეულის ნაფცქვნებისა, წამლის კოლოფებისა და დახეული წერილებისა, ვერაფერს პოულობდა. ნაგავი კი თავისიც თავზე საყრელად ჰქონდა და სხვისას რა თავში იხლიდა?

ასე იყო თუ ისე, ბედს არ ემდუროდა. რაც უნდა ყოფილიყო, ამდენ ადამიანს სჭირდებოდა მისი დახმარება. ხანდახან ვინმე მადლიანი ქალაღდი გამოხვეული დაუყვედრებელ ყველიან პურსაც მიაწვდიდა, ან ვაშლით გაასველებინებდა პირს. სხვა რა უნდა ენატრა...

იცხოვრებდა ასე, რომ არა ის დილა, მიწა რომ გამოაცალა გულნაზას ფეხქვეშ, თავრეტი რომ დაახვია და გული რომ ამოუგდო საგულედან. რომ არა ის უცნაური თვალები და ის საოცრად რბილი და თბილი ხმა, სალბუნად რომ დაედო ჭუჭყიანი ქალის სუფთა გული — „თქვენ ნუ შეწუხდებით, მე თვითონ დაავყრი ჩემს ნაგავს ძარაზეო“ — ნიჩაბი ჩამოართვა და ძლიერი მკლავებით დაიწყო სამშენებლო ნარჩენების, დამტვრეული აგურების და ბეტონის ნამსხვრევების ძარაზე შეყრა.

თითქოს დამუნჯდა გულნაზა, ენა მუცელში გადაუვარდა, ბოლმა ყელში დაყვედრებული ლუკმასავით გაეჭედა და გაჯიუტებული სახედარივით ერთი ადგილიდან დაძვრას არ აპირებდა — არც ახრჩობდა, არც სუნთქვის საშუალებას აძლევდა. ერჩია, მიწა გასცდომოდა, ვიდრე ახლა აქ მდგარიყო და იმ კაცისათვის ემზირა, რომელმაც, როგორც რენტგენზე, ისე განჭვრიტა ჭუჭყიანან შარვალ-ხალათში დამალული ქალი.

გულნაზას ბულის მოთქმას წესით სახურავი უნდა აეხადა მისი უბადრუკი ბარაკისათვის და ცამდე უნდა ასულიყო, მაგრამ ფიქრი საგულეში სარეცხი მანქანის ცენტრიფუგასავით ბრუნავდა და შიგ რეცხავ-და თავის ჭუჭყსა და ნალ-ველს. სხვის ნაგავში ყელამდე მუჯდომს თავისი შინ უყარდა, მაგრამ გარეთ არ გაჰქონდა, არავის აჩვენებდა თავის გულისნადებს და თვითონაც ვერ გარკვეულიყო, რატომ უცახცახებდა და უკრთოდა ბუხლები, გული და მთელი სხეული, როცა ნაგვის მანქანა ტალახიანი ბორბლებით მარჯვნივ შეუხვევდა და წერროვანის ქუჩას აუყვებოდა, ტილოს შარვალ-ხალათში მალავდა ათრთოლებულ სხეულს, თითქოს ცდილობდა, არავის დაენახა, არავინ მიმხვდარიყო, რა სულის შემხუთველი, ტკივილამდე მისული და უცნაური გრძნობა დაბუდებულიყო ჭუჭყიან ტანსაცმელში ჩამალული მკერდის სილრმეში მოცახცახე გულში. ჯერჯერობით კი, ეს ბინძური საყვირი იყო ერთადერთი, რომელიც მის ბაგეებს ასე უდრტვინველად, უპრეტენზიოდ ოდეს შექმნის ვერაფერს ღირებულს. ჩემი სამაგიდო წიგნი ოთარ ჭილაძის ნებისმიერი რომანია. მისი მწერლობა მაოცებს სიღრმითა და სილამაზით. უზარმაზარი მუხტის მომცემია — რამდენიმე აბზაცის წაკითხვა საკმარისია, რომ წერის ჟინმა შემიპყროს...

● ქართული ენა მოქნილია და მწერალს ამით დიდ შესაძლებლობებს აძლევს, თუმცა ყველა ავტორი მას თავისებურად იყენებს. ზოგიერთი ახალგაზრდა მწერლის ენა შოკისმომგვრელი და მიუღებელიცაა იმ მკითხველისთვის, რომელიც ძარღვიან ქართულს არის მიჩვეული. ამიტომ უფროსი თაობის წარმომადგენლები ხშირად აკრიტიკებენ ახალგაზრდა მწერლებს ენის „დაბინძურებისთვის“. ზოგჯერ ეს შენიშვნა სამართლიანია. მაგრამ ხშირად, თუ ადამიანი ნიჭიერია, კლასიკური ფორმებიდან გადახვევა სულაც არ არის გამაღიზიანებელი.

● ძირითადად, საბავშვო პროზაში ვმუშაობ. საახალწლოდ გამოდის ჩემი ზღაპრების კრებული. მასში შესულია 13 ზღაპარი. ვცდილობ, დრო ჩემი თოჯინების მინითეატრისთვისაც გამოვძებნო. ეს ყველაზე სასიამოვნო საქმიანობაა — პიესებსაც მე ვწერ, თოჯინებზეც თვითონ ვზრუნავ, მეგობრების დახმარებით ვახმოვანებ და მსახიობობასაც ვითავსებ. ხანდახან სპექტაკლის დროს ჩუმად ფარდის კუთხიდან ვიჭყიტები და ბავშვების სახეებს ვაკვირდები. საოცარი შეგრძნებაა. დიდებიც რომ ასეთი გულწრფელები ვიყოთ, ბევრად უფრო იოლი იქნებოდა ცხოვრება. და ყველაზე მთავარი — ორ პატარას ვზრდი. თითქმის ყველა ზღაპარი მათზე გადის აპრობაციას. ჩემი გოგონები ზღაპრების წერაში ძალიან მეხმარებიან — მოგონებენ სახელებს პერსონაჟებისთვის და სიუჟეტის გახსნაშიც მშველიან ხოლმე. ჩემი უსაყვარლესი ზღაპრის გმირს — ლოკოკინას, რომელიც ყველაზე წარმატებული აღმოჩნდა, სწორედ ჩემმა გოგონამ შეარქვა „ქერამუჭა“.

ჩაიწერა
თამარ შაიშმელაშვილმა



ალიან კეინდა ძველი

ᲧᲔᲛᲐᲚ ᲭᲣᲨᲘᲚᲘ

— გამარჯობა, ჯემალ, თქვენსკენ რაა ახალი?
— ეჰ, რა გითხრა, ხალხი, მტრისგანაა ნახმარი.
ადარ მახსოვს, ადარ, ხადილი და სამხარი,
სხვა რა გითხრა, ძმა, სულ ვნაა ახალი.
გადაკრიეთ ფრანგი, გაკვდით მათი კერი,
ფრანგებს უნდათ ჰანგი, ქართველს უნდა „რეი“.
ჩვენი უძველესი
სიმღერები მახსოვს...
„რა დროს მეველიაო“,
ვიდაც ქაჯი მახხრობს.
ჰოდა, ქაჯთა ხელში
აეგავილდა ერი,
ქუნაში და სკვერში,
ამერიკულს ვმღერით.
ვაშა, ამერიკულს,
ამერიკულს ვაშა,
ბეელი სიმღერებით,
გაშრა, ეველი გაშრა.
ადარ გვინდა ძველი,
გაუმარჯოს ახალს,
ეველა ნაწეალს თუმნად
დაუდია ნახა...
ეს რა ვამი დადგა,
ეშინიათ ძმებს ძმის,
ვაჟკაცების გარდა,
სუეველა ჩვენ გვეერძვის.
საიდან ვართ, ვინ ვართ,
არ ვართ ბაიბურში,
თუმც კარგია, როცა,
ხარ ვიდაცის ბუში!

ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘ

ბატონო უამინდობავ,
ხომ არ გგონივარ უვიცი,
მე შენთან თუ არ მინდოდა,
რატომ აღმოგჩნდი თუ იცი?
დილა მზიანი მომბეზრდა,
ვით ბიჩსა დგომა სამარის,
გავალ წვიმიან მოლზედა,
უფრო ბრწეინვალე რამ არის.
როცა იღვრება ღურჯი ცა,
გადაჭედილი ღრუბლებით,
რომ ვიეო ქვეყნად მუნჯიცა,
მაინც გაგეცანაუბრები.
ჰოდა, დამსეტეეე, იქუნე,
ზეცისა ზეიდან თუ მოვლიან,
იქნებ, ეშეველოს იმ ბუხრებს,
საცა ცეცხლი არ უნთიათ.

ᲞᲝᲔᲖᲘᲐ

ᲯᲐᲜᲡᲣᲚ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ

მხრებზე მოსხმული ცრემლები

ღღეს ვის მოეკლვეთ?

ღურჯა ცხენი სვედას მომგვრის, —
ქრიან რუხი რაშებით,
ნარკომანი, დემაგოგი,
„ცისფერი“ და „ჩამშვები“.
ჩვენი დროის მასკარადი
გრიალებს და არ ცხრება,
ღმერთო ჩემო, რას გვამადლი,
ერის დაქუცმაცებას?
ჩვენს ბედ-იღბალს ვერვინ წაშლის,
წლები გვერდს აგვიყლიან,
ნურც ახსენებთ ბერნიჭაშვილს, —
ჩვენ მოვკალით ილია.
ადარც მეველი მზე გვაცხუნებს,
ადარც ერი გვქვია და
ვაზის ჯიშად შერაცხული
ხალხი გამოქლიავდა.
საქართველო, დეგენარ მორცხვად,
მორცხვად, თანაც ამაოდ,
დღეს ვის მოკლავ, მითხარ, როცა
მოსაკლავი არა გვავს.

მორნა ეშმაკისა

დედლობას ვერ გასცლიხარ,
როცა გინდა, მამრულობ,
შენ, — ეშმაკი კაცი ხარ,
შენ, — ხიზუმით ხმაურობ.
მე მზე ადარ მინათებს,
ეკავი დაჰფრენს ედემსა,
მე გაეეგირი ხიმართლეს,
თავს ვიმულვე დედლებსა.
მე ხიმართლის ხნისა ვარ,
ამ ლექსსა ვწერ ურბნისსა,
მონა — ეშმაკისაა,
თანამდგომი — უფლისა.
ვიდეგრით, ედღესასწაულობთ,
არა ტეკეის ვაზნებით,
გონს მოეგე მამულო, —
ღირსეეულად ადზვედი.
ახლა, თავად განსაჯე,
რა ხდობია, მონობა?
ტეუილს ვამბობ? — დამსაჯე,
თუნდაც იქ, — „დიდგორობას“.

ᲚᲝᲒᲘᲙᲐ

დღეს, რამდენია?..
ხო, ცხრამეტი ნოემბერია,
მე მაგონდება, ვით უარეო
ნოემ ბერია.
რა ვიცი, ვითომ
მართლა უარეო? —
ვბეეუტურობ ჩემთვის,
ვერ ვძლებ უარეოდ.
დილაზე არეის
სახვლია მზე,
მე ასე ვფიქრობ
„ბახმეტიანზე“.
ერთხელ შეეგდებ
ალბათ მარსზე ბომბს,
უიმე, თურმე
ადარ ვარსებობ.

ᲨᲔᲯᲐᲮᲘᲚᲘ

ახლავე გეტეეთ,
ადგილს, გეტეეთ, ხად,
ადგილს, რომელსაც
ნადდად ვერ მოშლით,
სორსესელებო, — ეველა ქვეენისა,
შეერდით ჩვენთან, —
საქართველოში.

ᲡᲐᲒᲝᲔᲗᲨᲘ

ენენი ვინ ეოფილან,
საქმე ვისთან მქონია,
ვინც მტრის მტერი მეგონა,
თურმე მზის ჩამქოლია.
ნახეთ, როგორ გამიდგნენ,
როგორ მესისხლებიან,
ზოგნი, ბრილიანტებით,
ზოგნი, ვერცხლიით ხმდებიან.
საგიეეში წადიო,
ამიტენეს ეიეინა,
საგიეეში რა მინდა, —
მე, სამშობლოს გიეი ვარ.
მერე, რომ ჩაეუფიქრდი,
ვაჰმე, ცხრაეზის შეშლია,
სამშობლოში კი არა,
თურმე საგიეეში ვარ.

ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝ ᲮᲝᲠᲝᲡ!

ახლა ვისხენენ,
ვეეკვ ბრძენიც, ვეეკვ ასკეტიც,
ახი კეტითაც გაელახულვარ
კაცი მართალი,
ხშირად ხსვენს ჰქონდა
ჩემი მცირე მიწის ნაკვეთი,
მენენდა ქართველი,
ვითარ ხსარწი, ვითარ თათარი.
ახლა ვისხენენ,
ბეერეზის მტანჯეს, ბეერეზის განმემირეს,
იქ, სიიქოს, როცა ჩახვალ —
ჰკითხეთ მამაჩემს...
ბატონო ხოროს! მე თქვენ დედეს
ვერ შეეგინებთ,
მე მეშინია, თქვენნაირი
კიდეე არ გაჩნდეს.

ᲮᲐᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲓᲦᲔᲒᲙᲫᲔᲚᲘ ᲠᲣᲓᲘᲗ...

წვალმა წაიღოს
თქვენი ლხინი, თქვენი ნადიმი,
ვაი, ახალი ქართველების აკვნის
გამოლელნო,
ადღეგრეძელებენ არაკცებს
ლუდით — ნამდვილით,
არანამდვილი ღვინით კიდე —
ჩვენს საქართველოს.
ძმანო ქართველნო,
გაიხსენეთ ნამუხის ქუდი,
უნამუსო ხომ არ ვარგია
არც ცხვრად, არც მეუემსად,
ნამდვილ ქართველებს
გაუმარჯოს, ნამდვილი ლუდით,
იმ არადვინით
გაუმარჯოს არაკცებსა.

ᲯᲘᲪᲘᲔᲤᲘᲡ

დადმართი მუსლებს უსდების,
ადმართი კიდე გულსაო,
მე კი, არც ერთი არ მიმეწონს,
ჩემოვისა ვარ და ვბუქსაობ.

ეროს კიდეე გეტეეი, შენს საფლავს,
ნანამ ვარდენი მორთაეენ,
შეეეეი ადმართ-დადმართსა, —
ეშმაკისაა ორთაეე.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲯᲔᲯᲔᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲠᲣᲓᲘᲡ ᲜᲘᲣᲜᲯᲘᲓᲐᲜ

ჩემი სული ღმერთს ეკუთვნის,
გული, საქართველოს,
ღამე ჩემი ხორცის ჯამით
უნდა გაათვნოთ.
ძმის სიმულვილს ვით ჩემულობ,
მტრობის წარმმართველო,
სულ სხვის ეედეკ მიჩვეულო,
ვაი, საქართველო!
სისხლის წვიმა ფერს არ იცვლის,
გულიც არ მთელდება.
და მერწმუნეთ, არვინ იცის
როდის გათენდება.

2005 წლის ოქტომბერი-ნოემბერი.

◎ გენერალისიმუსის გზა

სტალინის შემდეგ

პირველი ნაწილი

— რატომ ჰგონია ასე?

— ბორის პილნიაკი წაგიკითხავს? იგი პეტრე პირველს უწოდებს ტირანსა და არამზადას, ამავე დროს ანდრეი ბელი პეტრეს აღწერს, როგორც მეფეს, რომელიც იყო ხელისუფლების მონა და წყველა-კრულვა ხალხისათვის. ხედავ... ვინ არის პეტრე? მეორე დიდი მეფე რუსეთის ისტორიაში ივანე მრისხანის შემდეგ, რომლებმაც საშუალება მისცეს რუსეთს გამოესახა ფართო ფრთები, აფრენილიყო და დასავლეთს გატოლებოდა. აი, მათ წყველიან როგორც დესპოტებს, თავიანთი შვილები რომ დახოცეს. მეც ასევე დამიძახებენ ტირანს, საკუთარი მეუღლის თვითმკვლელობის გამო. ვცდები, თუ მართალს ვამბობ?

მოლოტოვმა მაშინვე პასუხი ვერ იპოვა. სტალინს მოსწონდა მოლოტოვის სიდინჯე, პრობლემების სწორი გადაჭრა, რაიმე დაჯგუფებაში ჩარევის სურვილის უქონლობა, მისი საიმედოობა, სწორედ ამიტომ იყო იგი სტალინის მარჯვენა ხელი. მაგრამ, ზოგჯერ მეტად მარტივი სიტყვების აზრი ძნელად გასაგები იყო მოლოტოვისათვის. ეგებ ამიტომ არ მოწონდა, როდესაც ტროცკი ოციან წლებში ნახევრად ხუმრობითა და ნახევრად სერიოზულად მოლოტოვს „ხისჯოხიან უროს“ უწოდებდა. საერთოდ კი თვით ტროცკის მეტისმეტად ჭკვიანად მოჰქონდა თავი პროფესიონალ რევოლუციონერთა შორის, ლენინის ჩათვლითაც კი. ლენინის სიკვდილის შემდეგ იგი ცდილობდა პირველი ყოფილიყო რუსული რევოლუციის სათავეში, ამასთან პირდაპირ ჩაერთო სტალინის წინააღმდეგ ბრძოლაში. სტალინი თავის დროზე და ძალიან ადრე მიხვდა ერთ რამეს: თუ ტროცკი და მისი მომხრეები ხელთ იგდებენ რუსული რევოლუციის სადავეს, მაშინ მისგან დარჩება მხოლოდ სახელწოდება, მის შინაგან მექანიზმს გადააკეთებენ, ტროცკის, უფრო სწორად ტროცკისტთა ინტერესებს მიუსადაგებენ. იგივეს მიხვდა გორკიც. იგი ჯერ კიდევ 1924 წელს წერდა: „ტროცკი უცხო ადამიანია არა მარტო რუსული რევოლუციისათვის, არამედ მთელი რუსი ხალხისათვის“. რა მიიღო პასუხად? ტროცკისტებმა შეძლეს მიეცათ მისთვის საავადმყოფოში შხამი და, ბოლოს და ბოლოს, მიაღწიეს მის სიკვდილს. თითქოს ეს მათთვის ცოტა ყოფილიყოს. ადგნენ და ჭორი გაავრცელეს: გორკი სტალინმა დაღუპაო.

სტალინს შეეძლო ყველაფერი ეს მოლოტოვისათვის ეამბნა, მაგრამ არაფერი უთხრა, და არც არასდროს გააკეთებდა ამას, რაოდენ მისი ერთგულიც უნდა ყოფილიყო მოლოტოვი, როგორც თავდადებულად არ მიეჩნია იგი, რა აუცილებელი იყო მას სტალინის აზრები სცოდნოდა? ვინ იცის, რა აქვს სინამდვილეში მოლოტოვს გულში?! მას თავისუფლად შეუძლია თავი აკანტროს და დაეთანხმოს, მაგრამ დასტური არ იყოს. ვინ იცის, დადგეს დრო და ვინმეს გაანდოს ეს საუბარი.

სტალინი ხშირად ეპაჭიუებოდა ბიუროს წევრებს თავის კუნცევოს აგარაკზე, სადაც უზომოდ ათრობდა მათ, შემდეგ სიამოვნებით აბოლებდა ჩიბუხს, შეუმჩნევლად და ყურადღებით ადევნებდა თვალს სტუმრების მოქმედებას. თვითონ ცოტას სვამდა, ძირითადად, რბილ, საქართველოდან სპეციალურად ჩამოტანილ ღვინოებს.

— ძველი რომაელები, ამბობენ, ერთ საკითხს სამჯერ იხილავდნენ, — ამბობდა იგი, თანაც ჩამქრალ ჩიბუხს ექაჩებოდა, — ერთხელ — საღ გონებაზე, მეორედ — მაგარ სიმთვრალეში, მესამედ კი გამოფხიზლებულ მდგომარეობაში. სწორად იქცეოდნენ. ფხიზელ გონებაზე ვერ იტყვი ბევრს, რასაც მთვრალ მდგომარეობაში ილაპარაკებ. კრემლში

მსგავს რამეს არ ვაიძულებ ვინმეს. სვით... დღეს პრობლემებს არ გადავჭრით, დღეს უბრალოდ დავისვენებთ...

ვოროშილოვი და კანაგანოვიჩი სწრაფად თვრებოდნენ, მოლოტოვი ქვასავით გაუნძრევლად იჯდა. მალენკოვი და ბერია ბევრად ახალგაზრდები იყვნენ, ამიტომ ვერ ბედავდნენ ისე მოქცეულიყვნენ, როგორც ხნიერ უფროსნი. მიქოიანი გონებით უფრო ეშმაკი გახლდათ. იოლად ვერ დაეძალებდით. ეშმაკზე ეშმაკი იყო. ისინი ხრუშჩოვის თანატოლები იყვნენ. ამიტომაც, შესაძლოა, უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთს. ხრუშჩოვი კი სიმთვრალეში ენას კბილს ვერ აჭერდა, ლაყბობდა, და სტალინის თხოვნით, ცეკვისას დათვივით დაბაჯბაჯებდა. სტალინი ხრუშჩოვთან დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებს არ განიხილავდა. 30-იან წლებში ხალხის დიდი უმრავლესობა გაუნათლებელი იყო. არა მარტო პარტიის რაიკომებისა და საოლქო კომიტეტების მუშაკები, არამედ აგრეთვე რესპუბლიკური მასშტაბისა, უფრო ხშირად, ნახევრად უნიგნურნი იყვნენ. ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენდა ნიკიტა ხრუშჩოვი. სამოქალაქო ომის მონაწილისა და ღარიბის შვილის უფლებით იყო პარტიულ და სამეურნეო სამუშაოზე, და მიქოიანის დაჟინებული თხოვნითა და წინადადებით საკ. კპ (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობას მიაღწია. მაგრამ მოსკოვი არის მოსკოვი. განსწავლულობისა და განათლებულობის ცენტრი, შემოქმედებითი ბოჰემის შუაგული, რომელიც ყველას როდი ეგების. სტალინამდე აღწევდა მოსკოველთა უკმაყოფილება იმის გამო, რომ ახალი მდივანი, მოხვდა რა ინტელიგენციის შუაგულში, სრულებითაც არ ცდილობს თავის განათლების გაფართოებას და ცოდნის გაღრმავებას, რომ შესამჩნევად იგრძნობა ინტელიგენტურობის ნაკლოვანებანი მის გამოთქმებსა და ქცევებში. სტალინი თვითონაც გრძნობდა ამას. ამიტომაც 1938 წელს იგი მოსკოვს მოაშორა და საკ. კპ (ბ) უკრაინის პირველ მდივნად გაამწესა. როდესაც ხრუშჩოვი მოსკოვის პარტიული მეთაური იყო, ბიუროს წევრებთან ერთად ისიც სტუმრობდა კუნცევოს აგარაკს. როდესაც ნიკიტა დათვრებოდა და მეტისმეტად ლაყბობას დაიწყებდა, იყო ხოლმე, როდესაც სტალინი ეუბნებოდა:

— ნიკიტა, უკეთესია იცეკვო.

ხრუშჩოვი ტაშს შემოკრავდა და ცეკვას დაიწყებდა. კარგად თუ ცუდად ჰოპაკის ცეკვა ისწავლა. ცეკვის დროს ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა და სიცილის დროს მეჩხერ კბილებს გარეთ ყრიდა. სტალინს იგი არ უყვარდა. სტალინს ზოგჯერ მოსწონდა გახუმრება იმათთან, ვისაც არცთუ წყალობდა, და ათასნაირი ხერხებით ცდიდა მათ. ერთხელ, ისიც კვირადღეს, სტალინმა ხრუშჩოვი აგარაკზე იხმო. სტალინი მარტო იყო და ეზოში გაზეთებს კითხულობდა. ხრუშჩოვი მიუახლოვდა, ჩაახველა, აქაოდა მეც გეახელითო, და უთხრა: „ამხანაგო სტალინ, გამარჯობათ...“ სტალინმა თავი ზანტად მაღლა ასწია: „ა, ნიკიტა, გაგიმარჯოს“. „მეძახდით?..“ „გეძახდი...“ სტალინმა კვლავ გაზეთებში ჩარგო თავი ხრუშჩოვმა ერთხანობას მოიწყინა, შემდეგ თავი ვერ შეიკავა. „მე გეახელით“. „მაშ, ნიკიტა, — უპასუხა სტალინმა. — ასეთი ამბავია. გუშინ კრემლის დაცვის კომენდანტი დაუპატიმრებიათ“. „ვიცი, ამხანაგო სტალინ“. „კი მოგეხსენება, მაგრამ ის თუ იცი, რომ მთელ ბრალს შენ გაკისრებს?“ ნიკიტა მიტკალიკივით გათეთრდა, ლამის გული გადაუტრიალდა: „როგორ?“ „აი, ისე... შენ ბრალს გდებენ, ყველაფერში შენ გადანაშაულებენ“. ხრუშჩოვი პირდაბჩენილი იდგა, ყვითელ წამწამებს დაბენეულად ახამხამებდა, მხრები უმწეოდ ჩამოეკიდა.

სტალინმა აუჩქარებლად გაზეთი გვერდზე გადადო, დინჯად წამოდგა, ჩიბუხი მშვიდად გაანყო, ასანთს გაჰკრა, ნაფაზი დაარტყა, თვალი თვალში გაუყარა და ჩაიცინა: „თავი ასნიე, ეს ხუმრობაა“. უნებლიეთ, ხრუშჩოვმა პირი ყურებამდე დააბჩინა, კვლავ მეჩხერი კბილები გამოუჩნდა, ლოყებზე ფერი მოუვიდა. „მშიშარა ხარ შენ, ნიკიტა! — განაგრძო სტალინმა. — რომ ტრაბახობ, აქაოდა ვაჟკაცი ვარო. ასე რატომ შეგეშინდა, ხომ იცოდი, დამნაშავე არა ხარ? შენი ამ ლაჩრობის გამო დამნაშავეებთან ერთად ბევრი უდანაშაულო რეპრესიებში მოაყოლე...“ ხრუშჩოვი უკვე გამხნევდა. „ამხანაგო სტალინ, რეპრესიების დროს იაგოდა და ეჟოვი მე კი არა, ამხანაგებს ვოროშილოვს, ბუდიონის, მოლოტოვსა და კაგანოვიჩსაც ანგარიშს არ უწევდნენ“. „რატომ არ უწევდნენ ანგარიშს? იმიტომ, რომ შენ, ისევე როგორც ვოროშილოვსა და ბუდიონს,, ნაცვლად იმისა, რომ დაგეცვათ უდანაშაულო, თვითონნვე დებდით ბრალს იმ უბედურს, მე კი, ბრიყვი, გენდობოდით. ... იაგოდამ და ეჟოვმა, რომლებიც არავის უწევდნენ ანგარიშს, თავიანთი მიიღეს. შენ კი რა სასჯელი გერგება, ნიკიტა? თვითონვე თქვი...“ ნიკიტას კვლავ ენა მუცელში ჩაუვარდა. „რას დუმხარ? ასარჩევად რომ მოგცენ პისტოლეტი ან ძალაუფლება, რას აირჩევდი?“ ხრუშჩოვი კვლავაც დუმდა. „რა თქმა უნდა, — განაგრძობდა, — საკუთარ თავს ვერ ესვრი, იმიტომ, რომ ჯაბანი ხარ. მაგრამ, ნიკიტა... ამის მიუხედავად, მიყვარხარ... რატომ, როგორ ფიქრობ?“ „რატომ?“ „შენ გლეხსა გავხარ. ნამდვილს. შინაგანადაც, გარეგნულადაც... მე გლეხები მიყვარს. მათთვის რევოლუცია მოვახდინეთ, მათთვის ტროცკისტებს ვებრძოდით. ამიტომაც, ნიკიტა... პისტოლეტის ნაცვლად ძალაუფლებას მოგცემ. წადი, წაიმუშავე უკრაინაში. რას იტყვი ამაზე?“ „მე პარტიის ჯარისკაცი ვარ, ამხანაგო სტალინ, სადაც იგი გამიშვებს, მზად ვარ იქ წავიდე“. „მაშინ წარმატებებს გისურვებ“.

აგარაკს რომ გამოსცილდა და მანქანაში ჩაჯდა, გაბოროტებულმა გადააფურთხა და გონებაში უკანასკნელი სიტყვებით გათათხა სტალინი, ხრუშჩოვის გადაყვანა უკრაინაში უკვე დიდი ხანია გადაწყვეტილი იყო ბიუროზე. მაშ, რატომ მოუვიდა სტალინს თავში უცბად მისი გამოძახება და თანაც აბუჩად აგდება? უყვარს, ხედავ კი. სიტყვებით კი, მაგრამ სულში — პირქით. ანასტასი რომ არა, დიდი ხანია ამქვეყნად არ იქნებოდა. ეს რომ გაიფიქრა, გულში ერთხელ კიდევ მაგრად შეუკურთხა სტალინს ასეთი დამცირებისათვის და მძღოლს მანქანის დაძვრა ანიშნა.

მართლაც, სტალინს ძველებიდან არ უყვარდა ვოროშილოვი და ბუდიონი, ახლებიდან — ხრუშჩოვი. სამივემ ეს იცოდა, მაგრამ რა ეღონათ? ვოროშილოვი უნებისყოფო კაცი იყო. ცეცხლი მალე ჩაქრა მის სულში, ასაკიც საკმაოდ დაეტყო. არსად და არასდროს ნახევარი სიტყვაც არ უკადრებია სტალინის წინააღმდეგ. ისინი, ორივენი, სტალინს ყველაფერში ეთანხმებოდნენ: „დიახ, ამხანაგო სტალინ“, „რა თქმა უნდა, ამხანაგო სტალინ“. „ძალზე სწორია, ამხანაგო სტალინ“. ერთხელ სტალინმა განგებ არასწორი აზრი გამოთქვა, მოელოდა, რომ უპასუხებდა სამოქალაქო ომის ორი გმირი. ორივემ ერთხმად წამოიძახა: „სწორია, ამხანაგო სტალინ. ნამდვილად, რომ ასეც უნდა იყოს!“ — თანაც, ასე უსირცხვოდ. მაშინ სტალინის თვალებში ავისმომასწავებელმა ნაპერწკალმა იელვა. მან თავისი ჩიბუხის ტარი ორივეს, მაგრამ ცალ-ცალკე, მკერდში ჰკრა ნაგანის ლულასავით და გაბრაზებული ადგილიდან წამოდგა:

— თქვენთან საკითხების განხილვას ქალაქობანას თამაში სჯობსს! რასაც არ ვიტყვი, ყველაფერზე თავებს აკანტურებთ — სწორია, სწორიაო! თქვენ რა, თუთიყუშები ხართ?

მათ ისე მაგრა შეუკურთხა, რომ... ორივემ თავი დახარა. როდესაც სტალინი ბუდიონს აგინებდა, იგი გაისუსებოდა ხოლმე და ჩვეულებრივ ცალი ულვაშის წვერს ანვალებდა...

(გაგრძელება იძნება)

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „სრ“ № 257-262, 265-268.

მერკელი ლონდონს ეწვია

გერმანიის ახალი კანცლერი ანგელა მერკელი ჩავიდა ლონდონში, სადაც ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრთან ტონი ბლერთან ერთად განიხილავს ევროპის კავშირის ბიუჯეტთან დაკავშირებულ პრობლემებს.

ბრიტანეთი სადღეისოდ ევროკავშირის მოქმედი თავმჯდომარე ქვეყანაა.

გერმანელი ქრისტიან-დემოკრატების ლიდერი მერკელი კანცლერად დანიშნეს სამშაბათს. მის კოალიციაში შედის ბუნდესტაგის 448 დეპუტატი.

ეს მერკელის, როგორც ქვეყნის ლიდერის პირველი ევროპული ტურნეა. ოთხშაბათს მერკელი ჩავიდა პარიზში, სადაც შეხვდა საფრანგეთის პრეზიდენტს ჟაკ შირაკს. გერმანიის კანცლერმა ხაზი გაუსვა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება საფრანგეთ-გერმანიის მჭიდრო ურთიერთობას.

შეხვედრის წინ, მერკელმა არაორაზროვნად მიანიშნა, რომ არ აპირებს გერმანიის წინა მთავრობის მიერ განხორციელებული პოლიტიკის შეცვლას და გერმანელი სამხედრო მოსამსახურეების გაგზავნას ერაყში.

ამავე დროს, ბრიუსელში, ნატოს შტაბ-ბინაში ყოფნისას მერკელმა მხარი დაუჭირა ვაშინგტონთან კავშირურთიერთობის გააქტიურებას.

მერკელის თქმით, გერმანელი სამხედროები არ მიიღებენ მონაწილეობას ნატოს იმ წვრთნებში, რომელიც გაიმართება ერაყში ამ ქვეყნის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეებისთვის. თუმცა, განაცხადა, რომ მხარს უჭერს ერაყელი და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების სამხედროების წვრთნას.

ბუნდესტაგში მერკელის კანდიდატურას მხარი დაუჭირა 397 დეპუტატმა, 51 კანონმდებელი წინააღმდეგი იყო — ძირითადად, ბუნდესტაგში უმრავლესობის მქონე პარტიის წარმომადგენლები. მიმომხილველთა აზრით, ეს ის პრობლემაა, რომელსაც მერკელი მომავალში შეიძლება გადაანყდეს პარლამენტში.

ქრისტიანმა დემოკრატებმა მერკელის მეთაურობით ამ ცოტა ხნის წინათ გამართულ რიგგარეშე პარლამენტის არჩევნებში მცირე უპირატესობით გაუსწრეს გერჰარდ შრედერის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. ამის შედეგად ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის და ქრისტიან-სოციალური კავშირის პოლიტიკურმა ბლოკმა ვერ შეძლო დამოუკიდებლად მთავრობის ჩამოყალიბება ან კოალიციის შექმნა მათ იდეოლოგიასთან დაახლოებულ თავისუფალ დემოკრატებთან.

ახალი კაბინეტის დანიშვნის ერთადერთი საშუალება გახდა ეგრეთ წოდებული „დიდი კოალიცია“, რომელშიც გაერთიანდა გერმანიის ორი ძირითადი პარტია — ქრისტიან-დემოკრატები და სოციალ-დემოკრატები.

მაგატე ირანის შესახებ კვლავ იმსჯელებს

გაეროს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს (მაგატე) სხდომაზე ირანს, ალბათ, მისცემენ დამატებით დროს ამ ქვეყნის ბირთვული პროგრამის შესახებ შეთანხმების მიღწევისთვის.

შეერთებულ შტატებს და ევროკავშირს იმედი აქვთ, რომ ირანი დათანხმდება კომპრომისულ წინადადებას, რომლის მიხედვითაც, რუსეთში მოხდება ირანის რეაქტორებში გამოსაყენებელი ურანის გამდიდრება.

თეირანმა შეაჩერა ურანის გამდიდრების პროგრამა, თუმცა, კვლავ აცხადებს, რომ თავის ტერიტორიაზე აქვს ამის გაკეთების უფლება.

ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ მოლაპარაკება ევროკავშირთან შეიძლება განახლდეს მაგატეს სხდომის დასრულებისთანავე.

მანამდე კი, შეერთებული შტატები და ევროპის ქვეყნები დათანხმდნენ, რომ დროებით გადაედოთ გაეროს უშიშროების საბჭოს განსახილველად ირანის ბირთვული პროგრამის საკითხის გამოტანა.

თეირანთან მოლაპარაკების პროცესთან დაახლოებული დიპლომატები აცხადებენ, რომ ირანს მიეცემა დრო ზემოაღნიშნული კომპრომისული წინადადების განხილვისთვის — იგულისხმება ურანის გამდიდრება რუსეთში. ასეთ შემთხვევაში, თეირანი თვითონ შეძლებს ურანის კონვერსიის განხორციელებას, მისი გამდიდრება კი მოხდება რუსეთში.

არიელ შარონის ახალ პარტიას „ქადიმა“ უწოდეს

საბოლოოდ განისაზღვრა ახალი პარტიის დასახელება, რომელიც დაიფუძნა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა. პარტიის უწოდეს „ქადიმა“, რაც ივრიზე ნიშნავს „წინ“.

მიმდინარე კვირის დამდეგს დაფუძნებული ცენტრისტული ყაიდის ეს დაჯგუფება მიიღებს მონაწილეობას 28 მარტისთვის დანიშნულ ვადამდელ არჩევნებში.

როგორც ცნობილია, შარონმა დატოვა მმართველი პარტიის „ლიკუდის“ რიგები, რომლის დამფუძნებელიც თვითონ იყო. პრემიერს მხარი დაუჭირეს არა მარტო ზოგიერთმა თვალსაჩინო პარტიულმა მოღვაწემ, არამედ პარტია „ავოდის“ რამდენიმე წარმომადგენელმაც კი.

შარონი, რომელმაც დატოვა ისრაელის უდიდესი პარტიის „ლიკუდის“ თავმჯდომარის პოსტი, არჩევნებზე გამოვა, როგორც ახალი ცენტრისტული მოძრაობის მეთაური, რომელიც თავის რიგებში ჯერჯერობით მხოლოდ თხუთმეტიოდე წევრს თუ აერთიანებს. „ლიკუდის“ რიგებიდან შარონის წასვლის მთავარი მიზეზი გახდა მემარჯვენე ყაიდის მძლავრი შიდაპარტიული ოპოზიციის არსებობა, რომელიც საბოტაჟს უწევდა ძირითადი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას.

მოკლედ

იუკოსის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ლატვიაში პოლიტიკურ თავშესაფარს ეძებს. ლატვიის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესმდივანმა კრისტ ლაიშკალნსმა დაადასტურა, რომ იუკოსის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი, ამჟამად კი „იუკოს რმ“ კომპანიის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი მიხეილ ელფიმოვი სთხოვს ლატვიის ხელისუფლებას პოლიტიკური თავშესაფრის მიცემას.

* * *

ტაილანდში გზაზე დაგდებული ბომბის აღების დროს დაიღუპა ოთხი მოსწავლე. კიდევ ერთი ბავშვი გადარჩა, თუმცა დაიჭრა. სკოლისკენ მიმავალმა მოსწავლეებმა ასაფეთქებელი მოწყობილობა იპოვეს გზაზე და იგი ერთ-ერთმა ბავშვმა ზურგჩანთაში ჩაიდო. ახლა ასაფეთქებელ ნივთიერებათა სპეციალისტები ცდილობენ დაადგინონ ბომბის ტიპი და მისი სიმძლავრე.

* * *

„ფრინველის გრიპი“ ატიპურ პნევმონიაზე უფრო სწრაფი ტემპით ვრცელდება. ატიპური პნევმონიით დასნეულებულ ყოველ ადამიანს 30 დღის განმავლობაში შეეძლო საშუალოდ 27 კაცის დაავადება. „ფრინველის გრიპის“ ვირუსის მატარებელს კი შეუძლია ამავე დროის მანძილზე დაავადება გადასცეს 1024 კაცს. ამრიგად, „ფრინველის გრიპი“ 38-ჯერ უფრო სწრაფად ვრცელდება.

* * *

შეერთებულ შტატებში მატარებელი შეეჯახა 10 ავტომობილს. 13 კაცი დაშავდა. ერთ-ერთ მანქანას ცეცხლი მოეკიდა. ერთი დაჭრილის მდგომარეობა კრიტიკულია. მატარებლის მგზავრები არ დაშავებულან. საგარეუბნო მატარებელი, რომელსაც რამდენიმე ასეული მგზავრი გადაჰყავდა, ჩიკაგოდან ანტიოქიისკენ მიემართებოდა.

* * *

შეერთებული შტატები ქმნის ბირთვული იარაღის ალტერნატივას — „პირდაპირი ენერგიის“ E-Bomb-ს. Heritage Foundation სამეცნიერო ცენტრმა გამართა კონფერენცია ამ იარაღის შესახებ, რომელმაც უნდა შეცვალოს ომების სტრატეგია — საქმე ეხება ელექტრომაგნიტურ ბომბს. იარაღს E-Bomb უწოდა მეცნიერმა-ფიზიკოსმა დუგლას ბისონმა. ელექტრონული ბომბის მოქმედების პრინციპი მარტივია: იგი ახდენს ენერგიის ტალღის ინიცირებას, რომელსაც მწყობრიდან გამოჰყავს მთელი ელექტრონული ტექნიკა დიდი რადიუსის ტერიტორიაზე, წერს იტალიური გაზეთი „ლა სტამპა“.

საქმე № 2/6628-05

განჩინება

გაკოტრების საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ

ქ. თბილისი 22 ნოემბერი, 2005 წ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ირაკლი ადეიშვილმა, ნათია ზანდუკელის მდივნობით, განმცხადებელ (მოვალე) შპს „გეო-ტეკის“ გენერალური დირექტორის ვლადიმერ გურგენიძის, შპს „გეო-ტეკის“ გაკოტრების მმართველის გიორგი ზედელაშვილის, კრედიტორ „სნსკ სამშენებლო კომპანიის“ გენერალური დირექტორის სტანისლავ ბაგაურის, კრედიტორ „თექფენის“ წარმომადგენლების ენვერ ბარდაქისა და სერჰათ შენლიერის მონაწილეობით განვიხილე შპს „გეო-ტეკის“ გენერალური დირექტორის ვლადიმერ გურგენიძის შუამდგომალობა შპს „გეო-ტეკის“ მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

სარეზოლუციო ნაწილი:

ვიხელმძღვანელე რა „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 29[1]-ე მუხლის პირველი პუნქტით, 29[1]-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, 29[1]-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7, 272-ე, 273-ე მუხლებით

დავადგინე:

1. შპს „გეო-ტეკის“ გენერალური დირექტორის ვლადიმერ გურგენიძის შუამდგომლობა შპს „გეო-ტეკის“ მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ დაკმაყოფილდეს;
2. დამთავრდეს გაკოტრების საქმის წარმოება შპს „გეო-ტეკის“ მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების შეწყვეტის გზით;
3. დაევალოს შპს „გეო-ტეკის“ გაკოტრების მმართველს გიორგი ზედელაშვილს ამ განჩინების გამოქვეყნება „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად;
4. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

მოსამართლე
ი. ადეიშვილი

განცხადება სააქციო საზოგადოება „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის“ აქციონერთა რიგგარეშე კრების მოწვევის შესახებ

სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის“ დირექტორატი იწვევს სს-ის აქციონერებს რიგგარეშე საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2005 წლის 17 დეკემბერს 14 სთ-ზე, ქ. თბილისში, მარჯანიშვილის ქ. № 5-ში მდებარე სააქციო საზოგადოების ოფისში.

დღის წესრიგი:

1. საზოგადოების 2004 წლის სამეურნეო-ფინანსური შედეგების განხილვისა და დამტკიცების შესახებ აქციონერთა 2005 წლის 20 აგვისტოს საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვება;
2. აუდიტორის არჩევის შესახებ აქციონერთა 2005 წლის 20 აგვისტოს საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვება;
3. სამეთვალყურეო საბჭოს დებულების დამტკიცების და წევრთა შრომის ანაზღაურების შესახებ 2005 წლის 20 აგვისტოს საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვება;
4. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევის შესახებ 2005 წლის 20 აგვისტოს საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვება.
5. საზოგადოების აქციონერთა 2005 წლის 20 აგვისტოს საერთო კრების დღის წესრიგის მე-5 საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების დაზუსტება და პოლიგრაფიული მანქანა-დანადგარების შეძენის ნაწილში ძალაში დატოვება.

დღის წესრიგის საკითხების გარშემო დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სს-ის დირექციაში.

საერთო კრების სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2005 წლის 14 ნოემბერი.

კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან:

— ჩვეულებრივი აქციის მფლობელი აქციონერები (ან მათი წარმომადგენლები), რომლებიც რეგისტრირებულნი არიან საზოგადოების აქციათა რეესტრში 2005 წლის 14 ნოემბრის 18 სთ-ის მდგომარეობით, რაც რეგისტრირებულია სს „ვაკასრეესტრის“ მიერ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 74ა. მსურველებს ამ ფაქტის შემოწმება შეუძლიათ მითითებული მისამართით ათი დღის განმავლობაში.

აქციონერი კრების მუშაობაში მონაწილეობას იღებს პირადობის მოწმობისა და აქციათა რეესტრის საფუძველზე.

სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის“ დირექტორატი.

სს „ოპიზარი“ ატარებს აქციონერთა კრებას 2005 წლის 14 დეკემბერს 3 საათზე. მის: მ. წინამძღვრიშვილის 121-ში.

დღის წესრიგი:
სს „ოპიზარის“ რეორგანიზაციის შესახებ (ნატურით გაყოფა).

დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირთა საყურადღებოდ!

ამა წლის 15 ნოემბრიდან შპს „საქართველოს რკინიგზამ“ საკუთარ ვებ-გვერდზე გამოაქვეყნა საკონკურსო წესით შესასყიდი პროდუქციის ნუსხა.

შესყიდვებთან დაკავშირებული ყველა დამატებითი ინფორმაცია გთხოვთ მოიძიოთ http://www.railway.ge (ტენდერები) მისამართზე.

К вниманию заинтересованных Юридических и физических лиц!

С 15 ноября 2005 года ООО „ГРУЗИНСКАЯ ЖЕЛЕЗНАЯ ДОРОГА“ на собственном веб-саите опубликовала перечень продукции, которая будет закупаться конкурсным методом.

Всю дополнительную информацию относительно производимых закупок просим искать по адресу: http://www.railway.ge (тендеры)

◎ ისმინე, სწავლის მძებნელო!

2006 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების პროგრამა უცხოურ ენებში

ფრანგული ენის საგამოცდო პროგრამა

საგამოცდო პროგრამა

საგამოცდო პროგრამა მოიცავს V–XI კლასების პროგრამაში და სასკოლო სახელმძღვანელოებში გათვალისწინებულ დაგეგმილ და ეროვნულად მასალის და კითხვის და წერის უნარ-ჩვევების ვარჯიშის და დაგეგმილ ეოდნი მოწმენა კითხვის ფარგლებში. ზეპირეთან, დაგეგმილ ეოდნი მოწმენა კითხვის ფარგლებში ზეპირეთან ურთიერთობის საშუალებით, ეროვნული ეოდნი - წერითი ფორმით. მოსმენის და ზეპირეთან ენობრივი უნარ-ჩვევების შემოწმებისა ამ ეტაპზე არ ხდება.

საგამოცდო პროგრამა ითვალისწინებს ენის ბგერების, დაწერილობა და ენობრივი უნარ-ჩვევების ფაქტობრივ ეროვნული.

ბ ერ ტ ნ ბ ტ ნ კ ბ

მორფოლოგია

- ფრაზეული (ანბანურებული, განსაზღვრული, შემწეული, ხმოვანთან, შეკვეთილი) ;
- ფრაზეული სახელი (ბგერებთან სქესის და მრავლობით რიცხვის წარმოება) ;
- ზედსართავი სახელი (ბგერებთან, ეროვნულებთან, ფერებთან) ;
- ზედსართავი სახელის სქესის და რიცხვის წარმოება ;
- რიცხვითი სახელი (რაოდენობითი და რიგითი) ;
- პირის ნაცვალსახელები (მისალოცი და ფასდადებ) ;
- პირის ნაცვალსახელის განლაგება პირველად და ორად ფუნქციებად;
- en და y სმენაზეული ნაცვალსახელების განლაგება ;
- მაჩვენებელი ნაცვალსახელები ;
- ეროვნული ნაცვალსახელები ;
- ურთიერთობითი ნაცვალსახელები ;
- ზმნიზედა : ეროვნის და ადგილის განმარტებული ზმნიზედების განლაგება (dans, en, avant, pendant, après, depuis, jusqu'à, maintenant, en haut, entre, autour, en bas, loin, à gauche, à côté ...) ;
- კავშირი : ეროვნული, მრავლობითი, პირობითი, (აღნიშნული ეროვნული და განლაგება) კავშირთა (პირადი ეროვნული) ;
- ზმნის ჯგუფები ;
- წესიერი და არაწესიერი ზმნები ;
- უპირატესი ზმნები ;
- უბრალო ზმნები ;
- ზმნის ეროვნული და ეროვნული წარმოება და განლაგება (présent, imparfait, passé composé, plus-que-parfait, futur immédiat, passé immédiat, futur simple, passé simple, participe présent, participe passé, gérondif, impératif, infinitif, conditionnel présent, futur dans le passé, présent du subjonctif-პირადი ეროვნული) ;
- ზმნის პირადი ფორმა ;
- participe passé-ს შეთანხმება პირის ნაცვალსახელთან მრავალი ნაცვალსახელის ზმნებში ;
- კონსტრუქცია verbe + infinitif ;
- il faut + nom ;
- il faut + verbe ;
- ბალანსირებული კავშირები (mais, ou, et, ni, donc, car) ;
- ბალანსირებული კავშირები (que, quand, comme, si, parce que, pendant que, afin de, lorsque, à condition que, ainsi que) ;
- ეროვნული ;
- კითხვის დასმა ;
- ზმნიზედის და ზედსართავის შედარებითი ხარისხები ;
- წინადადება.

ბიბლიოგრაფია

- ეროვნული და კითხვითი წინადადებები ;
- ინდივიდუალური წინადადება ;
- კავშირები და ეროვნული ძალიან ეროვნული წინადადებები, პრაქტიკული განლაგება ;
- ბრძანება, ფერის, ბრძანის, ეროვნული ფერის წინადადებების განლაგება კავშირებით puisque, parce que, quand, pendant que ;
- დამოკიდებული დამოუკიდებელი წინადადების განლაგება კონსტრუქციაში je pense que, je crois que, je sais que, ... ;
- ბრძანებითი დამოუკიდებელი წინადადებების განლაგება qui კავშირით ;
- Ne . . . que შეზღუდული ნაწილაკის განლაგება ;
- პირდაპირი და არაპირი ნაკლები (პირადი ეროვნული).

ლექსიკა

- ზოგადსაგანმანათლებელი სკოლის სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული ლექსიკური ერთეულები (პრინციპად V-XI კლასის სახელმძღვანელოებში შესულ ლექსიკურ მასალაზე დაფუძნებული)
- სიტყვათწარმოება სუფიქსაციით ;
- სიტყვათწარმოება პრეფიქსაციით ;
- ზეარი შესიტყვებები და ანალოგიები ; (avoir peur ; avoir raison ; avoir soif ; être en retard ; être en avance ...).

შენიშვნა: ტესტის ზოგიერთ დავალებაში დასაშვებია ორაზროვანი ლექსიკური ერთეულების გარკვეული რაოდენობა. ასეთ აქტიური ლექსიკა არ მოიცავს.

ენობრივი უნარ-ჩვევები

ენობრივ ბაზრებლებში შესრულის პროტოკოლის ენაა შესრულ

- წაიკითხის საშუალო სიხშირის ადგილებული ან ნაწილობრივ ადაპტირებული ტექსტი (ინფორმაციული ან შემეცნებითი ხასიათის ანარეკლები, ნეგოდი, ინტერვიუ) და გააანალიზოს მისი შინაარსი.
- ტექსტის ეროვნული ინფორმაციის ამოღება
  ა. ძირითად შინაარსზე/ფაქტებზე
  ბ. ტექსტიდან ინფორმაციის ეროვნული ან ნაწილობრივ ადაპტირებული ტექსტი (ინფორმაციული ან შემეცნებითი ხასიათის ანარეკლები, ნეგოდი, ინტერვიუ) და გააანალიზოს მისი შინაარსი.
  გ. სიტყვების შინაარსის ნაგულისხმევ ინფორმაციაზე (ეროვნული კითხვის ტექსტი)
- კონტექსტის გათვალისწინებით ეროვნულად ადეკვატში ნასვამ სიტყვა (ეროვნული ზეარ/ეროვნული კითხვის ენობრივ სიშორეებ)
- მოსმენილ წინადადების ეროვნული ტრანსფორმაცია, მაგ. აქტიურიდან პასიურში გადაყვანა, ზედსართავი სახელების და სმენაზეული შედარებითი ხარისხების ეროვნული ; კონტექსტის გათვალისწინებით სმენილ ნაკლებ შესაბამის ფორმა და ეროვნულ.
- დაწერის ოდენობა ინტერვიუ ოდენობა (120-150 სიტყვა).
- ზეპირად დაიკვეთ ტესტი დავალების მოთხოვნა. შესრულის დავალება ისე, რომელ ეს ბალანსია სრული.
- ზეპირად დაიკვეთ ტესტი დავალების ინსტრუქცია, დავალება შესრულის ბალანსის ბრძანეთ.

შესაბამისობა უცხოური ენების სწავლების ევროპული სტანდარტებთან

ხარისხების დონის მიხედვით ტესტი შესაბამება ევროპის უცხოური ენების კომისიის მიერ 1997 წელს შემუშავებული უცხოური ენების სწავლებისა და შეფასების ხარისხობრივი ნორმა-დოკუმენტში განსაზღვრულ B1 (Niveau seuil) დონეს. ამ დოკუმენტში განსაზღვრული ევროპული ენების (რიგითაც უცხოურის) ეოდნის სხვადასხვა დონის შესაბამისი კომპეტენციები.

ალბანელი კომპეტენციები დაფიქრილია სამ სიტყვიერად. თითოეული სიტყვიერი თავის მხრივ იყოფა ექვად და შედგენილი მიღად დონეებად.

A		B		C	
ენის ფლობა ტესტი Utilisateur élémentaire		ენის დამოუკიდებელი ფლობა Utilisateur indépendant		ენის კომპეტენტური ფლობა Utilisateur expérimenté	
A1	A2	B1	B2	C1	C2
Introductif ou découverte	Intermédiaire ou de survie	Niveau seuil ზეფრანგული დონე	Avancé ou indépendant	Autonome	Maîtrise

ეროვნულ ხასიათებულებში შესაბამისად ეროვნული ენის ტესტის ხარისხების დონე, რომელიც თანეა, შეესაბამება ამ სკალის 1 სიტყვიერს (niveau seuil / ზეფრანგული დონე). ამ დონეზე მოითხოვს ენობრივ ენაზე კითხვა, წერა, მოსმენა და საუბარი მარტივ და ძირითად საგანეულებრივ თემებზე. ტესტის შედეგებიან ნდგ ეფუძნებიდეთ საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ სახელმწიფო პროგრამაში და ინსტიტუციურ სახელმძღვანელოებზე. ევროპისაგან მიღებ შემუშავებულ ნორმა-დოკუმენტის ეფექტიანად ნაკლოვანი შესაბამისობა – მიახლოებითია.

(გაგრძელება იძნება)

◎ ინფორმაცია

კანონდამრღვევები დააკავეს

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დარღვევის ფაქტზე, ქართველმა მესაზღვრეებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ძებნილი საქართველოს მოქალაქე დაიკავეს.

სასაზღვრო უწყების პრეს-სამსახურში განაცხადეს, რომ დაკავების ღონისძიება თბილისის აეროპორტში, „დონეცკი-თბილისის“ რეისზე, სასაზღვრო-საპასპორტო კონტროლის გავლის დროს განხორციელდა.

სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე ქართველმა მესაზღვრეებმა ასევე რუსეთის მოქალაქე დაიკავეს, რომელიც საქართველოდან თურქეთის რესპუბლიკაში გასვლას კანონდარღვევით ცდილობდა. სასაზღვრო უწყების პრესსამსახურში განაცხადეს, რომ დაკავების ღონისძიება რეგიონული სამმართველო „აჭარის“ სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის განყოფილება „სარფში“ განხორციელდა. სასაზღვრო-საპასპორტო კონტროლის გავლის დროს, მას პირადობის დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტი არ აღმოაჩნდა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება.

ინტერპრესნიუსი

ეკვლელობა ციხეში

23 ნოემბერს, დაახლოებით 18 საათზე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №1 საპყრობილის სარდაფში, სადაც აღრე აბანო იყო განთავსებული, მსჯავრდებულ, 27 წლის პაატა მამულიას გვამი აღმოაჩინეს. ოპერატიული ღონისძიების შედეგად ცხელ კვალზე დაიკავეს ყაჩაღობის, მანქანის გატაცებისა და მკვლელობის მცდელობისათვის გასამართლებული, 29 წლის მათე ხოსიტაშვილი. მკვლელობაში ეჭვმიტანილი პატიმრის ჩვენების მიხედვით, ინციდენტი ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მოხდა. მათე ხოსიტაშვილმა პაატა მამულიას თავში რკინის საგანი ჩაარტყა.

მედიანიუსი

◎ განსჯა

ყველაფერს ვაპატიებ ამ სელისუფლებას, თუ აფხაზეთსა და შიდა ქართლს დაგვიბრუნებს

(მესამე გვერდიდან)

მოსახლეობისადმი ყოველგვარი რიდის გარეშე იწყებენ რაღაც ღონისძიებების მზადებას. სამი მონვევის პარლამენტის წევრი და ხელისუფლებასთან დაახლოებული პირი ვიყავი. როცა სტუმარი ჩამოდიოდა, სად სადილობდა მასთან ერთად საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, ვერავინ იგებდა.

ახლა კი... ჩვენს ახალგაზრდა პრეზიდენტს „კოპალა“ რომ ძალიან უყვარს, თითქმის მთელმა ქალაქმა იცის.

იმ უბანში ვცხოვრობ და... ჩამოვა რომელიმე ქვეყნის პრეზიდენტი, გადაიკეტება ქუჩები, მანქანით შესვლაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია, საკუთარ სახლში შეიძლება ფეხითაც ვერ შეაღწიო. იკითხავთ, რა ხდებაო. ბატონ პრეზიდენტს სადილად ესა და ეს სტუმარი ჰყავსო.

ღმერთმა შეარგოთ, მაგრამ ასეთი პომპეზურობა რა საჭიროა? ამით ხომ ძალიან აღიზიანებენ საზოგადოებას?

მე ასაკოვანი კაცი ვარ, ჩემი ცხოვრება უკვე დავამთავრე, რად მინდა პოლიტიკური კარიერა, ერთადერთი ოცნება და სიზმარ-ცხადი აფხაზეთია, რომლის დაბრუნებაც ვერ შევძელით.

— რატომ? რა არის მიზეზი? ამ ორი წლის განმავლობაში ხომ მხოლოდ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ლაპარაკობს ხელისუფლება?

— სამწუხაროდ, მხოლოდ სიტყვებით გვამშვიდებენ. პრეზიდენტს ხმა მხოლოდ იმიტომ მივეცი, ვიფიქრე, ახალგაზრდა, ენერგიული კაცია და გულთან უფრო ახლოს მიიტანს-მეთქი ჩვენს ტრაგედიას. რადიკალურ ცვლილებებსაც ველოდი, მაგრამ ამ მხრივ ჯერჯერობით ერთი ნაბიჯიც არ გადადგმულა. საქართველო არასდროს იქნება ბედნიერი, თუ შიდა ქართლი და აფხაზეთი არ დაუბრუნდება.

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ აფხაზეთს მაგიდასთან მოლაპარაკებებით ვერ დავიბრუნებთ. არც გაეროს, არც ეუთოს და ევროკავშირს სრულებით არ აინტერესებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. მათთვის მნიშვნელობა არა აქვს, აფხაზეთში აფხაზი იცხოვრებს, ქართველი, სომეხი თუ ქურთი. მთავარია, იქ ბუნება არ იყოს და სიწყნარე სუფევდეს. ამასობაში დღითი დღე ვკარგავთ და ვშორდებით აფხაზეთს.

რომც დავბრუნდეთ აფხაზეთში, აღარაფერი დაგვხვდება. ჩემს სახლში დღეს ყოფილი ვიცე-სპიკერი სოკრატ ჯინჯოლია ცხოვრობს. ხომ არ შემომითვლის, ბატონო გენო, ჩამობრძანდით და იცხოვრეთო.

თუ აფხაზეთის დაბრუნება გვინდა, ძალისმიერი მეთოდებით უნდა განხორციელდეს. მე აფხაზი ხალხი დღეს მიყვარს. აფხაზეთში არ არის ცნობილი ოჯახი, სადაც ძმური პურმარილით არ დამჰვდებიან, მაგრამ ვისაც იარაღი უჭირავს და საკუთარ სახლებში, სასაფლაოებზე არ გვიშვებს, იმ ხალხს პასუხი უნდა მოეთხოვოს ძალისმიერი მეთოდით.

— საზოგადოების ერთ ნაწილს არ მოეწონა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთვის სახელის გადარქმევა, თითქოსდა ცნება „დევნილს“ შლიან ცნობიერებიდან. თავად დევნილებიც გაჭირვებაში ცხოვრობენ, მიზერული შემწეობა მათ საარსებოდ არ ეყოფათ...

— ჩვენ, დევნილები, 300 ათასი კაცი დღევანდელ საქართველოში ზედმეტი ადამიანები აღმოვჩნდით. ყველაფერი დავკარგეთ, რაც კი გვქონდა. არც აქ გვაქვს სამოსახლო, არც — აფხაზეთში. სად წავიდეთ? ქვევით — ქვესკნელში თუ ზევით — ზეცაში? ამ ხელისუფლებას ურჩევნია, საერთოდ არ ვარსებობდეთ და პრობლემაც მოიხსნება. ამიტომ აქაც გვდევნიან, გვჩაგრავენ. თუ პენსიები უნდა გაორმაგდეს, განა არ შეიძლება, დევნილის შემწეობაც — 14 ლარი 28 ლარი გახდეს? ადამიანს, რომელმაც ქართველობის გულისთვის ყველაფერზე უარი თქვა, განა სახელმწიფომაც ხელი უნდა კრასა?...

აქ არ შემიძლია, წყნეთის მასობრივი პრივატიზაცია არ ვახსენო. ფაქტობრივად, დევნილები ქუჩაში რჩებიან. ისინი ამას აპროტესტებენ და აცხადებენ, რომ ქვეყანას დატოვებენ, ჩენნბიკით სხვა სახელმწიფოს მოსთხოვენ თავშესაფარს. განა შეიძლება ეს ადამიანები ასე ვტანჯოთ? რა დაშავეს ასეთი?

— მაინც რამ განაპირობა აფხაზეთის მიმართ არათანმიმდევრული პოლიტიკის გატარება?

— წინა მოწვევის პარლამენტში თითქმის ყოველ კვირას ვკამათობდით აფხაზეთის საკითხზე. ამ ორი წლის მანძილზე კი, სიტყვა „აფხაზეთი“ არ თქმულა პარლამენტში.

მე კატეგორიულად ვენინააღმდეგები პარტიზანული მოძრაობის შეწყვეტას აფხაზეთში. ჩვენი ხელისუფლების ხელშეწყობით აფხაზეთი-სამურზაყანო სათარეშო პოლიგონად იქცა... ჩვენს შვილებს, ნათესავებს აუპატიურებენ, ხოცავენ, აფხაზურ ჯარში მიჰყავთ, რომ მერე დაგვიპირისპირონ ჩვენთვის ტყვიის სასროლად.

პარტიზანული მოძრაობა არ უნდათ საერთაშორისო ორგანიზაციებში მომუშავე ე. წ. ექსპერტებს, რომლებიც დიდძალ თანხას ღებულობენ და უნდათ, რომ დიალოგი რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს, ხან ლუბლიანაში დადიან, ხან — ჟენევაში. ამ ადამიანებმა აფხაზეთი მხოლოდ რუკაზე, წარმოსახვით იციან. ზაქარეი შვილმა თუ ნოდიამ როგორ უნდა გადაწყვიტონ ჩემი ბედი?

პარტიზანული მოძრაობა რომ ყოფილიყო, 2 მილიონი რუსი ვერ დაისვენებდა აფხაზეთში და სახლებს თუ სანატორიუმებს მასობრივად ვერ შეისყიდიდნენ.

ახლა კი რა ხდება? პარტიზანული მოძრაობა აიკრძალა, რუსი სამშვიდობოები ისევ დგანან ენგურზე. შესაბამისად იქ ლაღად სძინავთ სეპარატისტებს. ჩვენ ომი და სისხლისღვრა არ გვინდა, მაგრამ ისიც ვიცით, რომ დაკარგულ მიწას ლანგრით არავინ მოგვართმევს. მე ყველაფერს ვაპატიებ ამ ხელისუფლებას, თუ აფხაზეთსა და შიდა ქართლს დაგვიბრუნებს. გარკვეული ოპტიმიზმის საფუძველს ზუგდიდში პრეზიდენტის გამოსვლა მაძლევს. ღმერთმა ინებოს, ასე მოხდეს.

ესაუბრა
თამარ
შაიშმელაშვილი

პარასკევი, 25 ნოემბერი,

08.00 მხ.ფ.**"ვილა ორანჟეის"** (U) **09.00** "მთავარი" **09.10** მხ. ფილმის გაგრძელება **10.00** სერიალი **"ანასტასია"** **11.00** დოკ. ფილმი "ნინაპრები" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმ. ფ. "ფედელინი" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი **"რეგინზორენკების ოჯახი"** 1-ელი ს. **15.00** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** მულტსერიალი "მუმზას კოვბოები" **16.00** სერ.**"ძმიმე პარიოდი"** **17.00** დოკ. ფ. "ავაზები და ბოკვერები ლომების მიწაზე" **18.00** "მთავარი" **18.15 ქიუდო** - საქართ. ჩემპიონატის ფინალური შეხვედრები **19.30** დოკ. ფილმი "სიჩქარე" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი **"ანასტასია"** **22.00** მსოფლიო რაგბი **22.30** მუსიკა – პრინცი **23.30** მხ. ფილმი **"ზანა"** (U) **01.00** საინფორმაციო გამოშვება

19.00 "ბაბილინა" **19.15** მულტსერიალი "ზოგბერთის აკადემია" **19.40** სიცილის ოთახი **19.50** ქართული ფოლკლორი **20.00** აფხაზეთის ტელევიზია **20.40** სპექტაკლი **"ალეუფალის ბაჭირავება"**

07.30 დილა **08.00** მულტფილმი "ადამიანი-ობობა" **10.00** სერ. **"ოცნების კოშკები"** **11.00** სერიალი **"ბრძოლა ჩრდილთან"** **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.10** კურიერი **12.20** სერიალი **"ბრძნობათა ტყვეობაში"** **13.30** "ჯეობარი" **15.25** მულტფილმი "ადამიანი-ობობა" **16.00** სერ. **"ბმებმოხე სული"** **17.05** სერ. **"ფეთამოხე სული"** **18.30** პატრული **19.30** სერიალი **"ბრძნობათა ტყვეობაში"** **22.00** ღამის შოუ **23.00** "ჯეობარი" **00.00** მხ. ფ. **"ჯვინ ეარი"** (18) (შარლოტა გინსბურგი) **02.20** პატრული **02.40** მხ. ფილმი **"ეძებერმენები"** (18)

07.00 იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **10.00** სერიალი **"ჩემი შეუვარებული"** **11.15** სერ. **"საბრალო ნასტია"** **12.25, 16.15, 17.10, 03.20** იმედის მელოდიები **12.40, 16.25** ფმ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი **"თარგმანში დაკარგული"** **15.00, 17.00, 19.00, 20.00, 23.00, 03.10** ქრონიკა **15.20** სერიალი **"მოჯადოება"** **16.40** დოკ. სერიალი "შეხვედრები წყალქვეშ" **17.30** ვაკაჭი-ნიუსი **18.05** სერიალი **"ჩემი შეუვარებული"** **19.05** სერიალი **"მოჯადოება"** **20.30** "რეაქცია" **22.30** "ათასიდან ერთი შანსი" **23.30** უცნობი საქართველო **00.05** მხ. ფილმი **"ამბავი სუბარა - სიყვარულის ამბავი"** (18) (ი. ვარმა) **02.20** სერიალი **"დრონგო"**

08.30 მუსიკა **09.00** ანიმ. ფილმი "ვინი პუხი" **09.30** სერიალი **"ასა"** **10.00** სერიალი **"ჩეინტო"** **11.05** რუსული სერიალი **"ჭეიშის თოჯი"** **11.55, 12.55** მზერა **12.05** ქარი. ფილმი **"ვეფხვეება"** **13.55, 14.55, 15.55** მზერა **14.05** მხ. ფილმი **"სამნი უნდა მოვიშოროთ"** **16.55** მზერა **17.05** სერიალი **"ბეკრდიგეერდ"** **17.35** ანიმ. ფილმი **17.55** მზერა რეგიონებიდან **18.00** რუსთა ველი - იგორ სავოლსკი **18.25** ტელემეტრი **19.00** "მზერა-ჰედლაინი" **19.05** სერიალი **"ჩანგო"** **20.00** "მზერა" **20.50** მხ. ფილმი **"მე, ბეპეა, ილიარ და ილაარინი"** **22.30** სერიალი **"ასა"** **23.00** მხ. ფ. **"მეკოდოგიდი ლენინ"** (U) (დ. ბრიული)

10.00 "ტკ-შოპი" **11.00, 13.00, 17.20, 23.00, 01.30** Style-TV **12.45** მხ. ფილმი **"ეფოკეეა"** **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** სპექტრი **22.00** მხ. ფ. **"სიწყნიდის ზღვარი"** (პატრიკ ფლეერი) **00.30** "ტკ-შოპი"

◎ პოლიტიკა

წალკაში სიჯუჯიდ ისჯურეს

წალკის **რაიონი მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელით გამოირჩევა. წალკის 45 სოფელი მაღალ ზონას მიეკუთვნება. 12 წლის წინათ ბერძნების მასობრივმა მიგრაციამ სახლების დაცარიელება გამოიწვია. ასობით სოფელი გამოიკეტა. შვიდიოდე წლის წინათ დაიწყო მაღალმთიანი რაიონებიდან — აჭარიდან და სვანეთიდან ხალხის ჩამოსახლება. ამჟამად სოფლები თითქმის შევსებულია, მაგრამ მოსახლეობის ზრდასთან ერთად კრიმინალური მდგომარეობის გართულებამაც იმატა, ამიტომ, სამართალდამცავებს დიდი სიფრთხილე და გამოცდილება მართებთ.**

ახლახან, წალკის რაიონის შს რაიგანყოფილების უფროსის თანამდებობაზე დაინიშნა პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი როინ მაცაბერიძე, მოადგილეებად კაპიტანი ემზარ ცუნიშვილი, და ვიცე-პოლკოვნიკი დავით მაისურაძე. ამ მცირე ხნის მანძილზე მათ ბევრი საქმე გააკეთეს. გაუხსნელ საქმეთა თითქმის 60 პროცენტი გახსნეს. მოსახლეობას პოლიციის რწმენა დაუბრუნდა და ადრე მომხდარ დანაშაულებზე უკვე აცხადებს პოლიციაში. ძირითადად

არარის უპატრონო სახლების გაქურდვის ფაქტები, თუმცა, სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულებიც გაიხსნა.

ბატონმა როინ მაცაბერიძემ საუბრისას განმიცხადა: — შევეცადეთ მაქსიმალური ზომები მიგვეღო, რათა კრიმინალი შემცირებულიყო. სოფელ კიზილ-კილისასა და ავრალოს მოსახლეობა, ხშირად გზებს კეტავდა, მათ „ბი-პისა“ და „პეტროფაგის“ ხელმძღვანელობასთან თავიანთი პრეტენზია ჰქონდათ. სოფლის ტერიტორიაზე ქვაშის კარიერებს იყენებდნენ, მოსახლეობა კი აქედან კომპენსაციას არ იღებდა. გზების გადაკეტვა, პრეზიდენტის ახალი დადგენილების მიხედვით, კანონით ისჯება, ხოლო შეფერხებული სამუშაოებით უცხოური კომპანია და სახელმწიფო ზარალდებოდა. პოლიციის ძალისხმევით ალტერნატივა გამოინახა და გზების გადაკეტვას ბოლო მოეღო. მოსახლეობის მოთხოვნაც დაკმაყოფილდა.

წალკის რაიონის ტერიტორიებზე გადის უდიდესი მნიშვნელობის მაგისტრალი „თბილისი-ბაქო-ჯეიჰანი“. პოლიციის უდავოდ დიდი დამსახურებაა, რომ მის მშენებლობაზე არაერთგზის გამოვავლინეთ საწვავის დიდი რაოდენობით დატაცების ფაქტები. კრიმინალთან ერთად ჩვენი ქვეყნის ღირსებაც ილახებოდა.

სოფელი ავრალო წალკის ცენტრიდან 25 კმ-შია. იქ არსებობს ქვეგანყოფილება, რომელიც 20-მდე სოფელს ემსახურება. ქვეგანყოფილებაში ადრე რვა თანამშრომელი მუშაობდა, ახლა თვრამეტნი არიან. ადგილობრივ ქართველ, ბერძენ და სომეხ სამართალდამცავებთან ერთად მოსახლეობის სიმშვიდეს თბილისელი და რუსთაველი სამართალდამცავებიც დაიცავენ, რაც სიმშვიდის გარანტია. ქვეგანყოფილების უფროსია გამოცდილი ოპერმუშაკი ვიცე-პოლკოვნიკი კონსტანტინე ბალაბანოვი.

პოლიციელებს „ვილისის“ ტიპის ახალი მანანქანა ემსახურება. მართალია, ჯერჯერობით, ტექნიკური მიზეზების გამო რაციები არ აქვთ, მაგრამ იმედოვნებენ, რომ მალე ისიც ექნებათ და გაუადვილდებათ ერთმანეთთან დაკავშირება. მანამდე კი მოსახლეობა დაუცველი არ იქნება და ნურც კრიმინალებს ექნებათ რაიმეს იმედი.

მაღალმთიანი რაიონებიდან ჩამოსახლებული მოსახლეობის რეგისტრაცია არ ხერხდებოდა. უმრავლესობას, ჯერჯერობით, ბინები დაუკანონებელი აქვს, აქედან გამომდინარე, მათი სტატუსიც გაურკვეველი იყო. დღეიდან თითოეული პიროვნების დოსიეზე პოლიციელები ზრუნავენ, ისინი ინდივიდუალურად შეისწავლიან არარეგისტრირებულ ნაწილს და მათი რეგისტრირებაც მოხდება. სწორედ ასეთი ღონისძიების შედეგად სამი ძებნილი დააკავეს და სასამართლოს გადასცეს.

სამართალდამცავმა ორგანოებმა ავტორიტეტი ნამდვილად აიმაღლეს. სწორედ ამის გამოა, რომ მოსახლეობა ძველ დანაშაულებებზე განაცხადს აკეთებს. შემცირდა ახალი დანაშაული, პოლიციის რიგებში მილების უამრავი მსურველი გამოჩნდა.

წალკის რაიონი ყოველთვის რთულ რეგიონად მოიაზრებორდა. აქ პოლიციის უფროსის პოსტზე გარდა კარგი გამოცდილი ოპერატიული მუშაკისა, კარგი პოლიტიკოსობაც არის საჭირო. ბატონ როინს და მის თანამშრომლებს ვუსურვებთ წინსვლას იმ რთულ და ღირსეულ საქმიანობაში, რასაც კანონის სადარაჯოზე დგომა ჰქვია.

ნაზი მეშველიანი
გაზეთ „წალკის უწყებანის“ მთავარი რედაქტორი.

სურათზე: **წალკელი პოლიციელები რეიდზე გასვლის წინ.**

◎ ფეხბურთი

ვის ჰყავს „კობი“ ჩვენისთანა!..

ლევან კობიაშვილი **პირველი ქართველი ფეხბურთელია, ვინც ჩემპიონთა ლიგაში „ჰეთ თრიქი“ შეასრულა.**

ეს მნიშვნელოვანი ფაქტი გელზენკირხენის „აუფ შალკეს“ სტადიონზე მოხდა, სადაც ჩვენი ქვეყნის ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერის კლუბმა „ეინდჰოვენი“ დაჩოქა — 3:0. მართალია, „კობიმ“ სამიდან ორი გოლი თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმით გაიტანა, მაგრამ, დაგვეთანხმებით, ფსიქოლოგიური ფაქტორით დამუხტულ ამ დონის შეხვედრაში პენალტის გატანასაც ოსტატობდა და, რაც მთავარია, მოწესრიგებული ნერვული სისტემა სჭირდება.

ჯგუფური რაუნდის V ტურში ასეთივე წარმატებას მიაღწია ადრიანომ, რომელმაც სამჯერ განაახლებინა თამაში მინდვრის ცენტრიდან სლოვაკურ „არტმედიას“ და „ინტერს“ 4:0 მოაგებინა. დღის გმირად კი „მილანის“ უკრაინელი ბრილიანტი შევჩენკო მოგვეცალინა, რომელიც სტამბოლში მარტო გაუსწორდა „ფენერბახჩეს“ და ერთბაშად 4 გოლით გამოირჩა — 4:0. ამ მატჩში კახი კალაძეს მონაწილეობა არ მიუღია.

გთავაზობთ ჩემპიონთა ლიგაში ამ დღეებში გამართული შეხვედრების სრულ შედეგებს:

„ა“ ჯგუფი. „ბაიერნი“ — „რაპიდი“ 4:0, „იუვენტუსი“ — „ბრიუგე“ 1:0.

„ბაიერნი“, „იუვენტუსი“ — 12-12, „ბრიუგე“ — 6, „რაპიდი“ — 0 ქულა.

ბოლო ტურში ითამაშებენ: „ბრიუგე“ — „ბაიერნი“, „რაპიდი“ — „იუვენტუსი“.

„ბ“ ჯგუფი. „აიაქსი“ — „სპარტა“ 2:1, „თუნი“ — „არსენალი“ 0:1.

„არსენალი“ — 15, „აიაქსი“ — 12, „თუნი“ — 3, „სპარტა“ — 1 ქულა.

ბოლო ტურში ითამაშებენ: „სპარტა“ — „თუნი“, „არსენალი“ — „აიაქსი“.

„გ“ ჯგუფი. „ბარსელონა“ — „ვერდერი“ 3:1, „პანათინაიკოსი“ — „უდინეზე“ 1:2.

„ბარსელონა“ — 13, „უდინეზე“ — 7, „პანათინაიკოსი“, „ვერდერი“ — 4-4 ქულა.

ბოლო ტურში ითამაშებენ: „უდინეზე“ — „ბარსელონა“, „ვერდერი“ — „პანათინაიკოსი“.

„დ“ ჯგუფი. „მანჩესტერი“ — „ვილიარეალი“ 0:0, „ლილი“ — „ბენფიკა“ 0:0.

„ვილიარეალი“ — 7, „ლილი“, „მანჩესტერი“ — 6-6, „ბენფიკა“ — 5 ქულა.

ბოლო ტურში ითამაშებენ: „ვილიარეალი“ — „ლილი“, „ბენფიკა“ — „მანჩესტერი“.

„ე“ ჯგუფი. „ფენერბახჩე“ — „მილანი“ 0:4, „შალკე“ — „ეინდჰოვენი“ 3:0.

„მილანი“, „შალკე“ — 8-8, „ეინდჰოვენი“ — 7, ფენერბახჩე“ — 4 ქულა.

ბოლო ტურში ითამაშებენ: „მილანი“ — „შალკე“, „ეინდჰოვენი“ — „ფენერბახჩე“.

„ვ“ ჯგუფი. „რეალი“ — „ლიონი“ 1:1, „რუსენბორგი“ — „ოლიმპიაკოსი“ 1:1.

„ლიონი“ — 13, „რეალი“ — 10, „რუსენბორგი“ — 4, „ოლიმპიაკოსი“ — 1 ქულა.

ბოლო ტურში ითამაშებენ: „ოლიმპიაკოსი“ — „რეალი“, „ლიონი“ — „რუსენბორგი“.

„ზ“ ჯგუფი. „ანდერლეხტი“ — „ჩელსი“ 0:2, „ლივერპული“ — „ბეტისი“ 0:0.

„ლივერპული“ — 11, „ჩელსი“ — 10, „ბეტისი“ — 7, „ანდერლეხტი“ — 0 ქულა.

ბოლო ტურში ითამაშებენ: „ბეტისი“ — „ანდერლეხტი“, „ჩელსი“ — „ლივერპული“.

„თ“ ჯგუფი. „ინტერი“ — „არტმედია“ 4:0, „პორტუ“ — „რეინჯერსი“ 1:1.

„ინტერი“ — 12, „რეინჯერსი“ — 6, „არტმედია“ — 5, „პორტუ“ — 4 ქულა.

ბოლო ტურში ითამაშებენ: „რეინჯერსი“ — „ინტერი“, „არტმედია“ — „პორტუ“.

◎ ძიუდო

კიევში დამთავრდა, თბილისში დაიწყო

უკვე გაუწყეთ, რომ კიევში 23 წლამდელ ძიუდოისტთა ევროპის პირველობაზე ქართველმა ფალავნებმა: ლაშა გუჯეჯიანმა (მძიმე წონა) ოქროს მედალი მოიპოვა, ხოლო ზაზა კედელაშვილმა (66 კგ), საბა გავაშელიშვილმა (81) და ლომერ ყორჟოლიანმა (90) მესამე ადგილები დაიკავეს.

უკრაინის დედაქალაქიდან დაბრუნებულ ჩემპიონსა და პრიზიორებს ძიუდოს ეროვნულმა ფედერაციამ 23 ნოემბერს შეხვედრა მოუწყო სასტუმრო „ვარაზში“, სადაც პრესკონფერენციაც გაიმართა. ჟურნალისტების წინაშე წარსდგნენ ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტები — შენგელი ფიცხელაური და გია ნაცვლიშვილი, ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარელი, რომელმაც კიევში გამართულ ორთაბრძოლებზე ილაპარაკა. ფიცხელაურმა და ნაცვლიშვილმა კი მთავარი ყურადღება გაამახვილეს საქართველოს ჩემპიონატზე, რომელიც გუშინ ვერის ბაღის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში დაიწყო და დღეს დამთავრდება. შეჯიბრებაში ზურაბ ზვიადაურისა (მან მოსკოვში ორიოდე დღის წინათ ოპერაცია გაიკეთა) და დავით ქევხიშვილის (ავად არის და მკურნალობს) გარდა ყველა ცნობილი ფალავანი მონაწილეობდა. აქ შეირჩევა თითოეულ წონაში 4-6 მოჭიდავე, რომელთაგან 4 საუკეთესო გაისად იანვარში თბილისის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე გამოვა...

„ვარაზში“ პრესკონფერენციის დამთავრების შემდეგ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელს **ბორის ფირცხელიანს** ვესაუბრე.

— კიევში 37 ქვეყნის საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენებმა მოიყარეს თავი, — მითხრა მან, — მათ შორის იყვნენ ათენის ოლიმპიადის მონაწილეები და წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორებიც. აქედან გამომდინარე, მეტად გამოცდილი მეტოქეები ჰყავდათ ჩვენს ბიჭებს. მადლობა ღმერთს, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა — ოთხი მედალი მოვიპოვეთ. განსაკუთრებით მინდა გამოვყო ლაშა გუჯეჯიანი, რომელმაც მეტოქეებს წარმატების იოტისოდენი შანსიც კი არ დაუტოვა, ისე ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. იგი ღირსეული ჩემპიონი და ათლეტია, რომელიც ხშირად მწვრთნელებსაც გვეხმარება. კიევშიც ასე იყო. მას რომ შემთხვევით არ გაეგო და ჩვენთვის არ შეეტყობინებია პირველობის განრიგში მომხდარი ცვლილებები, ერთ მედალს დავკარგავდით. საბა გავაშელიშვილს, წესით, კვირას უნდა ეჭიდავა, მასპინძლებს კი ამ წონის მოჭიდავეთა შერკინებები რატომღაც შაბათისთვის გადმოუტანიათ. ჩვენ ეს ღამის 11 საათზე გავიგეთ. საბას ზედმეტი წონა ჰქონდა, ამიტომ, ღამის ყინვას მოვერიდეთ და სასტუმროს მე-11 სართულის დერეფანში ვარბენინეთ წინ და უკან, რომ ორი კილოგრამი დაეკლო. საერთოდ, გავაშელიშვილი ფიზიკურად ძლიერი სპორტსმენია, მაგრამ უჰაერობაში წონის დაკლებამ, ეტყობა, მის ფიზიკურ კონდიციებზეც იმოქმედა. მართალია, მეორე დღეს ორი ორთაბრძოლა მოიგო, თუმცა, ნახევარფინალში თავადაც დამარცხდა. საღამოს კი დასვენებულმა ბრინჯაოსთვის პაექრობისას იოლად სძლია მეტოქეს.

ზაზა კედელაშვილი, რომელიც ფავორიტად მიგვაჩნდა, კიევში გამგზავრების წინ ბრმანაწლავის შეტევით საავადმყოფოში აღმოჩნდა. რეანიმაციიდან პირდაპირ აეროპორტში წავიყვანეთ. თუმცა, ნახევარფინალში რუსეთელ ალიმ გადანოვთან მარცხი მისი ჯანმრთელობის ბრალი სულაც არ არის — ეს წაგება არბიტრების ნამუსზეა. კიდევ კარგი, რომ ზაზა უმედლოდ არ დარჩა.

გამაკვირვა ლომერ ყორჟოლიანმა. იგი შარშანაც მყავდა ახალგაზრდების ევროპის პირველობაზე. ერთ წელიწადში დიდი ნაბიჯი გადადგა. კიევში სამი წლით უფროსებთან ჭიდილში დაამტკიცა, რომ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს მისი სახით ღირსეული ცვლა ეზრდება.

ნამდვილად, კმაყოფილი ვარ ბიჭების ევროპის პირველობაზე გამოსვლით. ჩვენ ხომ, ფაქტობრივად, მოსამზადებელი პერიოდი არ გაგვივლია. ის კი არა, ისე მოხდა, რომ დარბაზში რემონტი დაიწყეს და ბიჭებს ვარჯიშის შემდეგ ცხელი შხაპი არ ჰქონდათ. როგორც ხედავთ, ისევ ტალანტის ხარჯზე გავდივართ ფონს...

ვაჟა დანელია

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საკაშვილი ჯერჯერობით დუმილს ამჯობინებს

საქართველომ, რომელმაც 23 ნოემბერს „ვარდების რევოლუციის“ მეორე წლისთავი, მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო არა მარტო პომპეზური ღონისძიებებით, არამედ რუსეთის მიმართ გაკეთებული საკმაოდ მკვახე განცხადებების სერიითაც. პარლამენტის შემდეგ, სადაც გასულ სამშაბათს დაიწყეს „მოსკოვის მორჩილი“ თანამეგობრობიდან საქართველოს გამოსვლის საკითხის განხილვა, სიტყვა აიღეს ალმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა. თუმცა, ეს პრეზიდენტის დონეზე არ მომხდარა: მიხეილ სააკაშვილს, რომელიც 23 ნოემბერს არაერთხელ გამოჩნდა ხალხში უკრაინის, რუმინეთის და ესტონეთის პრეზიდენტების თანხლებით, ჯერჯერობით არაფერი უთქვამს იმის შესახებ, თუ როგორ ეკიდება ამ მწვავე თემას.

იური სიმონიანი,
„ნეზავისიმაია გაზეტა“,
24 ნოემბერი.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

სამაგიეროდ, გააქტიურდნენ მინისტრები. მაგალითად, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ხელმძღვანელმა ირაკლი ჩოგოვაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მეექვსე კონფერენციაზე, რომელიც დეკემბრის შუა რიცხვებში გაიმართება ჰონკონგში, იგი გაახმოვანებს საქართველოს მოთხოვნას რუსეთისადმი, რომელიც აცხადებს პრეტენზიას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში განვრცობაზე. „მართალია, ამ თემის შესახებ რუსეთთან ორმხრივი მოლაპარაკება დავასრულეთ გასული წლის მაისში, მაგრამ ხომ არსებობს სულიერი ღირებულებებიც. სააკაშვილის თქმით, „ვარდების რევოლუციის“ მთავარი მიღწევა გახდა ის, რომ ხალხი მზად არის თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის. მაგრამ, საქართველოს პრეზიდენტის ამ თეზისს გამოუთხარა ძირი სამართალქომაგთა ავტორიტეტიანმა ორგანიზაციამ „საერთაშორისო ამნისტიამ“, რომელმაც რევოლუციის წლისთავისთვის მოამზადა მოხსენება „საქართველო: წამება და სასტიკი მოპყრობა — იმედგაცრუება „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ“. თვით სათაური უკვე მრავლისმეტყველია. მოძრაობა „ანტი-სოროსის“ ლიდერმა მაია ნიკოლეიშვილმა კი პირდაპირ განაცხადა: „საქართველო მიზანმიმართულად მიიწევს ტირანიისკენ. ქვეყანაში განადგურებულია თავისუფალი პრესა, ამიტომაც, საერთაშორისო საზოგადოების ყურამდე ადამიანის უფლებათა მრავალი დარღვევის ფაქტის მიტანა, პრაქტიკულად, შეუძლებელია“.

საკუთარი „სახის“ შენარჩუნების მიზნით, რუსეთისკენ გაიშვირეს ხელი. საქართველოს პარლამენტმა გადაწყვიტა დაიწყოს თანამეგობრობიდან ქვეყნის გამოსვლის პროცესი. ამავე დროს, მოსკოვში უნდა ჩავიდეს საქართველოს პრემიერი ზურაბ ნოღაიდელი. მისი ამოცანაა თავიდან აიცილოს საქართველოში „გაზპრომის“ მიერ დაგეგმილი ბუნებრივი აირის ფასების მომატება — თბილისს ამირერდან ათასი კუბური მეტრი გაზისთვის მოუწევს არა წინანდელი 62, არამედ უკვე 110 დოლარის გადახდა. არადა, თანამეგობრობის წევრობა, რა თქმა უნდა, საქართველოსთვის უფრო მომგებიანია, ვიდრე რუსეთისთვის. თუნდაც იმიტომ, რომ დსთ-ს შემადგენლობაში უფრო იოლი იქნება მორიგების მიღწევა გაზის ფასების შესახებ.

უგაზობის გამო ვარდების ჭკნება

უკრაინის შემდეგ, თავისი „ფერადი რევოლუციის“ — „ვარდების რევოლუციის“ წლისთავი საქართველომაც აღნიშნა. საზეიმო ღონისძიებებზე დასასწრებად მოწვეული იყვნენ საპატიო სტუმრები, მათ შორის რუმინეთის პრეზიდენტი ტრაიან ბასესკუ, ესტონეთის პრეზიდენტი არნოლდ რიუიტელი და უკრაინის ლიდერი ვიქტორ იუშჩენკო.

სერგეი ჩუგაევი,
„კომსომოლსკაია პრავდა“,
24 ნოემბერი.

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА

ამ უკანასკნელმა შეაჯამა თავისი ერთწლიანი მუშაობის შედეგები. აქედან, ალბათ, ყველაზე მთავარია განხეთქილება „ნარინჯისფერი მოძრაობის“ რიგებში. სამაგიეროდ, იუშჩენკოს ჰქონდა შესაძლებლობა ენახა, თუ საქართველოს ხელისუფლების სათავეში ორი წლის განმავლობაში ყოფნის დროს რისი მიღწევა შეძლო მისმა თანამოაზრე მიხეილ სააკაშვილმა. თუმცა, დასაკვეხნი იქიც ბევრი არაფერია. გარდა იმისა, რომ თბილისმა დაუწესა კონტროლი აჭარის ავტონომიას, სხვა რაიმე მნიშვნელოვანი მიღწევები ჯერჯერობით არ ჩანს. უფრო — პირიქით, მოსახლეობის ცხოვრების დონე ეცემა, ეკონომიკა კი ვერა და ვერ აღწევს თავს კრიზისს.

მაგრამ ხომ არსებობს ლამაზი ლოზუნგები. „ვარდების რევოლუციის“ ლიდერებმა ეს ლოზუნგი ბევრჯერ ახსენეს. ეს ლოზუნგი ასეთია: „ეს ოლიმპიადა ბოლოა, ეს ბოლო ოლიმპიადა“. ეს ლოზუნგი ბევრ ადამიანს ეგონა, ალბათ, ბოლოდ ბოლოს ეს ოლიმპიადა ბოლოა, ეს ბოლო ოლიმპიადა

⊙ ტრადიციები

გარდასულ დღეთა ათინათი

„ჰეი, ბავშვობის დღეებო, დაბრუნდებოდეთ, ნეტავი!“ პოეტის ეს ნატვრა თავს ხშირად შემახსენებს ხოლმე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც წლები მომეძალა... იმ დღეებთან ბევრი ტკბილი მოგონება მაკავშირებს. მათ ჩემს ცხოვრებაში დიდი და წარუშლელი კვალი დატოვეს.

მაშინ ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩის პირველ გადაკვეთაზე ვცხოვრობდი. ახლო ვიცნობდი ღვაწლმოსილი პროკურორის რომან პაჭკორიასა და ნატალია ყარალაშვილის ოჯახს, ვიცნობდი ამ დიდებული ადამიანების წარმომავლობას. პაჭკორიების სტუმარმასპინძელი ოჯახის სადარბაზო ბარათი „გადმომცა“ მათმა ვაჟიშვილმა შუქრი პაჭკორიამ, რომელთანაც ვმეგობრობდი. აქ სულის მოსაოხებლად ხშირად იკრიბებოდნენ თბილისის იმდროინდელი საჩინო ახალგაზრდები — ოტია პაჭკორია, სილოვან ნარიმანიძე, არჩილ სულაკაური, გოგი გელოვანი, თენგიზ ჩიჩუა, გიზო ნიშნანიძე, ტარიელ იაშვილი... კითხულობდნენ ლექსებს, მღეროდნენ, იგონებდნენ ჩვენილ დღეებს, თვითონაც ხალისობდნენ და უფროსებსაც ახალისებდნენ. ახლაც მახსოვს ქალბატონ ნატალიას ნაამბობი, ცამეტი წლისამ სოფელ ართანაში (თელავის რაიონი) როგორ მოჰპარა ცხენი სტუმრად მყოფ დიდ ვაჟას და კაი ხანს აჯირითა, როგორ დაუმეგობრა მამამისი გიგლო ყარალაშვილი ალექსანდრე ყაზბეგს. სწორედ რომ იქ ტრიალებდა უახლოესი ნათესავების, სასიქადულო მამულიშვილების ივანე ჯავახიშვილისა და ტიციან ტაბაძის, რჩეულ თავადაზნაურთა — ვახვახიშვილების, ჩოლოყაშვილების, ვაჩნაძეების უკვდავი სულები.

აი, ვისგან შეითვისა და შეისისხლხორცა პაჭკორიების მშვენიერმა ოჯახმა სტუმართმოყვარეობა, ვინ დაარწია მათ გულებში პატრიოტობის აკვანი! მახსოვს, იმ საღამოებზე როგორ აქტიურობდა შუქრის დაიკო დიანა, რომელიც ბეჯითი სწავლის პარალელურად ქსოვდა, კერავდა, მუსიკალური ტექნიკუმიც დაამთავრა და უმაღლესი პედაგოგიური განათლებაც მიიღო.

და აი, ერთ დღეს შევიტყვე, რომ დიანა პაჭკორიამ თავისი ბედი ჩემს მეგობარს, ჟურნალისტ ფარსადან თოფურიას დაუკავშირა. მას მერე მთელი ორმოცი წელი გასულა! გაზარდეს ქალ-ვაჟი, ჰყავთ ხუთი შვილიშვილი. ფარსადანმა ხომ არა და არ მოასვენა კალამი, არც ქალბატონი დიანა მჯდარა გულზე ხელდაკრეფილი. ჯერ ახალციხეში იმუშავა ფორტეპიანოს მასწავლებლად, მერე რუსთავში გააგრძელა მოღვაწეობა, ბოლო ათეული წლები კი თბილისის მუსიკალურ სასწავლებლებში იღვაწა.

თოფურიებიც თავიანთი დიდი წინაპრების ტრადიციათა ერთგული გამგრძელებლები არიან. და გიხარია, რომ თბილისში, მიუხედავად დუხჭირი ცხოვრებისა, არიან ასეთი ადამიანები, ვინც თავისი არსებობით სხვებსაც სიცოცხლით ტკბობის სურვილს ულვივებენ.

ბიძინა გეგეშიძე,
კულტურის დამსახურებული მუშაკი.

სურათზე: დიანა პაჭკორია-თოფურია.

⊙ გვწერენ

სად ვემიოთ დანაკარგები — ყაზბეგის კიტრში თუ კასპის ჰურში?

წლევანდელი „საქართველოს რესპუბლიკის“ 3 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა გაზეთ „ვრემია ნოვოსტეი“-დან გადმობეჭდილი საინტერესო ინტერვიუ სახელმწიფო მინისტრ კახა ბენდუქიძესთან, რომელიც საუბრობს გაზისა და ელექტროენერგიის ტარიფებზე, მათ წარმოქმნაზე და საინტერესო შედარებები მოჰყავს: თურმე რუსეთი თურქმენეთიდან ათას კუბურ მეტრ გაზს 45 დოლარად ყიდულობს, ხოლო საქართველო რუსეთიდან 60-65 დოლარად ღებულობს, თანაც ამბობს, რომ გაძვირებაა მოსალოდნელი. იქვე მოჰყავს უკრაინის მაგალითი, რომელსაც გაზს 180 დოლარამდე უძვირებს. ინტერვიუს წაკითხვისას გებადება კითხვა, რა დაუშავეს ქართველმა მეწარმეებმა, რომელთაც 60-65 დოლარიან გაზს უკვე რამდენიმე წელია 150 დოლარად აწვდიან. ეს ხომ იგივეა, მონადირე კურდღლის მოსაკლავად ზარბაზნით დადიოდეს. ამას განა ვინმე დაიჯერებს?

ვიდრე უცხო ქვეყნებთან ტარიფები და ფასები დარეგულირდება, ეგებ შინ მოგვეგვარებინა მათი რეალური ოდენობა? ეს განსაკუთრებით ეხება ბუნებრივი აირის ტარიფებს, რომელიც ბოლო დროს ჩვენში იზრდებოდა, ერთ მილზე წურბელებივით მომრავლებულ გაზის ორგანიზაციებთან ერთად. აღბათ დროა ასეთი მაქინაციების პერიოდი დამთავრდეს.

მალხაზ დოლიძე,
თბილისის პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე.

⊙ ანეკდოტები...

— მაინც რატომ გგონია, რომ ყელსა და ფეხებს შორის მჭიდრო კავშირია?

— როგორ თუ, რატომ! თუ ფეხებს დაისველებ, ყელი აგტკივდება, ყელს ჩაისველებ — ფეხები გეკეცება.

* * *

ხალხი — ეს ბევრი ადამიანია, ბრბო კი — არც ერთი.

* * *

ჩვენთან ბაზრის თავისუფლება ცოტათი თუ განსხვავდება ბაბაზრებული თავისუფლებისგან.

* * *

— ევროპაში ვიყავი, — ეუბნება ძმაკაცს ივანიჩი — რა კულტურული ხალხი ცხოვრობს იქ! აი, ვთქვათ, საკმარისია, ძაღლმა ქუჩაში მოისაქმოს, რომ პატრონი მაშინვე მოასუფთავებს იქაურობას.

— ეს რა არის! ჩვენთან ძაღლებიც კი კულტურულები არიან. საკმარისია, პატრონმა შუა ქუჩაში მოისაქმოს, რომ ძაღლი მაშინვე ასუფთავებს იქაურობას.

* * *

— თქვენს მდგომარეობაში თქვენთვის გამოსავალია ცოლთან დაბრუნება, — ეუბნება ადვოკატი კლიენტს.

— საინტერესოა! მაშ რა იქნება, თქვენი აზრით ჩემთვის ყველაზე ცუდი?

⊙ შევამჩნიეთ, ვასწორებთ

ჩვენი გაზეთის 23 ნოემბრის ნომერში, მე-4 გვერდზე, გურამ გომართელის წერილში „საჩხერეში „ვაგონების ეპოქა“ მთავრდება“ გაიპარა დასანანი შეცდომა. საჩხერის მერის ზურაბ ცუცქირიძის ნაცვლად უნდა ეწეროს „საჩხერის გამგეები ზურაბ ცერცვაძე“. რისთვისაც ბოდიშს ვუხდით ბატონ ზურაბს და ჩვენი გაზეთის მკითხველებს.

გამოიწერეთ

სანდო, მართალი და ტრადიციული გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა'

მიმართეთ „საქპრესას“ (ტელ: 35.51.40), „მაცნეს“ (37.40.49), „უწყებანს“ (93.64.72), „პრეს-ექსპრესს“ (96.23.11), „პლანეტა-ფორტეს“ (93.38.73), „ინფოსერვისს“ (34.09.35), „ელვა-სერვისს“ (36.35.75) რაიონებსა და ქალაქებში — „საქპრესის“ ადგილობრივ განყოფილებებს.

ძვირფასო მკითხველებო, ფინანსური სიძნელეების მიუხედავად, რედაქციამ გაითვალისწინა თქვენი შესაძლებლობებიც და, კვლავ თქვენი თანადგომის იმედით, არ გაზარდა გაზეთის ფასი — მისი ერთი ეგზემპლარის ღირებულება კვლავაც 50 თეთრია.

ამდენად, გაზეთის გამოწერა ეღირება: ერთი თვით — 13 ლარი, სამი თვით — 39 ლარი, 6 თვით — 78 ლარი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ — მუდამ თქვენი თანამდგომი, სიხარულისა თუ ჭირ-ვარამის გამზიარებელი გაზეთი!

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ უშუალოდ რედაქციაშიც. კოსტავას ქ. № 14, IV სართული. ტელ: 98.96.32; გაზეთის ინდექსი: 66434.

⊙ ხსოვნა

ნოდარ ცაბაძე

გარდაიცვალა გ. ჩოგოვაძის სახელობის საქართველოს ენერგეტიკისა და ენერგეტიკულ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, თვალსაჩინო ჰიდროენერგეტიკოსი, სიკეთით, პატიოსნებითა და ქართული ღირსებით სავსე უნიჭიერესი და უბრწყინვალესი პიროვნება, საპატიო ენერგეტიკოსი, ღირსების ორდენის კავალერი **ნოდარ ცაბაძე.**

ნ. ცაბაძე დაიბადა ქ. თბილისში 1926 წელს.

ინსტიტუტში მუშაობდა 1951 წლიდან დღემდე. მის მიერ დადგენილია ჰიდროელექტროსადგურების მოქმედების ეფექტიანობის ამაღლების შესაძლებლობები, მოქმედი ობიექტებისათვის ჰიდროაგრეგატების რემონტთაშორისო რაციონალური ვადები. დასაბუთებულია ჰიდროტურბინების აბრაზიულ-კავიტაციური ცვეთის შეფასების, მცირე ჰესების სიმრავლის შექმნის მეთოდიკა, ჰიდროაგრეგატებისა და ჰესის სივრცულ-დროითი მათემატიკური მოდელის პროგრამის შექმნა და დანერგვა საოპტიმიზაციო ამოცანების გადასაწყვეტად (შაორ-ტყიბულის კასკადი, ზაჰეს-ხრამჰესის პარალელური ციკლი მოკლეკვადიანი პიკური დატვირთვებისას). დაამუშავა ბორჯომისა და თიანეთის ლოკალური ენერგორაიონების შექმნის ენერგო-ეკონომიკური საფუძვლები.

მასვე ეკუთვნის რიგი შესანიშნავი იდეა და ნოვატორული წინადადება საქართველოს ჰიდროენერგეტიკისა და წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენების სფეროში. ბოლო პერიოდში იგი აქტიურად და წარმატებით იკვლევდა საქართველოში ჰიდროტექნიკის განვითარების ისტორიულ ასპექტებს და ამ საკითხს რამდენიმე სამეცნიერო-პოპულარული სტატია მიუძღვნა.

ნ. ცაბაძე განსაკუთრებული, პიროვნული თვისებებით იყო გამორჩეული. თავის სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულ კაცს, მისი ისტორიის უბადლო მცოდნეს, ფეხით ჰქონდა შემოვლილი ყველა კუთხე და არაჩვეულებრივი მახსოვრობის წყალობით ზეპირად კითხულობდა ხალხურ და კლასიკურ ლექსებსა და საინტერესო გამონათქვამებს. იხსენებდა „ძველ-თბილისურ“ ამბებს, პატივს სცემდა ჭეშმარიტ ქართულ ტრადიციებს, უყვარდა ექსპრომტად მოსწრებული კაფიების გამოთქმა.

„გეპეის“ ჯაზის ერთ-ერთი შემქმნელი, უბადლო ხმის პატრონი, ყველა შეკრებას ალამაზებდა, უყვარდა ტრადიციული ქართული ქეიფი და ყოველთვის ყურადღების ცენტრში იყო.

ბატონი ნოდარის, კოლორიტული კაცური კაცის, დიდი მამულიშვილის, ნაღდი თბილისელის წასვლა ამ ქვეყნიდან აუნაზღაურებელი დანაკლისია მისი ოჯახის, ახლობლების, მეგობრებისა და კოლეგებისათვის. მისი სახელი სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში.

გ. ჩოგოვაძის სახელობის საქართველოს ენერგეტიკისა და ენერგეტიკულ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

აბრამ მამისთვალოვი

ქართულ-ებრაულმა საზოგადოებრიობამ დიდი დანაკლისი განიცადა: 19 ნოემბერს, ისრაელში 84 წლის ასაკში გარდაიცვალა პოეტი, მწერალი, ჟურნალისტი, დრამატურგი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე, ჩვენი ასოციაციის უცხოელი საპატიო წევრი — **აბრამ იცხაკის ძე მამისთვალოვი.**

აბრამ მამისთვალოვი დაიბადა 1921 წელს ქ. ცხინვალში თორის დიდმცოდნის, „თეჰილიმისა“ და სხვა წმინდა წიგნების ივრითიდან ებრაულ ენაზე მთარგმნელის — რაბინ იცხაკ მამისთვალოვის ოჯახში. საშუალო სკოლა დაამთავრა ფრიადი წარმატებით 1939 წელს და იმავე წელს უგამოცდოდ ჩაირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, მაგრამ ომმა შეუშალა ხელი მის დამთავრებაში. შემდგომში მან ეს ფაკულტეტი დაუსწრებლად დაამთავრა.

აბრამ მამისთვალოვი სკოლის პერიოდიდანვე აქვეყნებდა ლექსებსა და სტატიებს. მისი პირველი ლექსთა კრებული გამოიცა 1942 წელს, როცა იგი 21 წლისა იყო.

აღთქმულ მიწაზე 1974 წელს ავიდა. მანამდე 29 წლის განმავლობაში პასუხსაგებ თანამდებობებზე მუშაობდა საოლქო გაზეთ „საბჭოთა ოსეთში“, სადაც სამოციანი წლების სუსხიანი კომუნისტური პოლიტიკის პერიოდში აქვეყნებდა აშკარა პროისრაელურ და პროსიონისტურ ლექსებსა და ბალადებს. ამის გამო იგი ძლივს გადაურჩა დაპატიმრებას რამდენჯერმე თავისი ქართველი კოლეგების დახმარებით.

მის რომანში „ხლართები“, რომელიც 1965 წელს გამოიცა საქართველოში, უხვადაა მოყვანილი ამაღელვებელი ნაწყვეტები ფსალმუნებიდან — თეჰილიმიდან, როგორც მაგალითად: „დაღვარეს სისხლი მათი წყალივით იერუშალაიმის გარშემო და დამმარხავი არავინ იყო“, „ვითარ-მე ვგალობდეთ გალობასა უფლისასა ქვეყანასა უცხოსა? უკეთუ დაგიივიწყო შენ, იერუშალაიმ, დამივიწყოს მარჯვენამ ჩემმან“, — და ეს იმ დროს, როცა ამ რომანში უბრალო მინიშნებაც კი არ ყოფილა საბჭოთა წყობილების განსადიდებლად. ეს იყო უდიდესი გამბედაობა და თავგანწირვაც კი.

1961-74 წლებში აქტიურად მოქმედებდა აბრამის ხელმძღვანელობით მის მიერვე დაარსებული საქართველოს იატაკქვეშა სიონისტური ორგანიზაცია, რომელმაც ფასდაუდებელი როლი შეასრულა ალიის დაწყების საქმეში.

გერცელ ბააზოვის შემდეგ აბრამ მამისთვალოვი პირველი მწერალია, რომელმაც ებრაული თემა შემოიტანა ქართულ მწერლობაში.

აბრამ მამისთვალოვს საქართველოში გამოუცეს 7 წიგნი, რაც უიშვიათესი წარმატებაა იმდროინდელ საქართველოში მცხოვრები ებრაელისათვის.

ა. მამისთვალოვი ერთადერთია, ქართველ ებრაელთა შორის, რომელიც ისრაელში ავიდა როგორც საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის წევრი. მას გამოცემული აქვს 22 საკუთარი კრებული და 30-მდე ნათარგმნი წიგნი, მათ შორის „ხამიშა ხუმშეი თორა — მოშეს ხუთწიგნეული“, რისთვისაც მას მიენიჭა ივანე მაჩაბლის სახელობის საქართველოს სახელმწიფო პრემია.

ბოლო 25 წლის განმავლობაში აბრამი იყო გამომცემლობა „შუქურას“ მთავარი რედაქტორი.

ისრაელში ა. მამისთვალოვი ავიდა უხმაუროდ და უპრეტენზიოდ, მას არ მოუთხოვია შეღავათები და დანარიცხები ისრაელის სასარგებლოდ გაწეული დიდი და ხიფათიანი შრომისათვის. იგი იყო უაღრესად თავმდაბალი, უკეთილშობილესი და უსპეტაკესი პიროვნება, დიდი ადამიანი ამ სიტყვის ყველაზე მაღალი და ღრმა გაგებით.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაცია; დავით ბაბაზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი; საქართველოს მწერალთა ეროვნული კავშირი.

რევაზ, ენდი, მაია, თიკო ყიფიანები, დავით ლურსმანაშვილი მწუხარებას გამოთქვამენ, რომ გარდაიცვალა ოჯახის მეგობარი, დიდსულოვანი პიროვნული ღირსებით შემკული დარბაისელი ვაჟკაცი

რუბენ ცირეკიძე

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

თამაზ ცირეკიძე და გივი გეწაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უახლოესი მეგობარი, დიდი მამულიშვილი

რუბენ ცირეკიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს, ახლობლებს, სამეგობროს.

საქველმოქმედო საზოგადოება „ოკრიბის“ გამგეობა, ამავე საზოგადოების თბილისის სამკვიდრო, გაზეთ „ოკრიბას“ სარედაქციო კოლეგია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი და ჭეშმარიტი ქომაგი

რუბენ ცირეკიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

⊙ გახსენება

გია ბრეგვაძე

გასრულდა ორმოცი დღე.

ხვალ შენი დაბადების და ზეციურ სასუფეველში გადასვლის დღეა. როგორი დამთხვევაა. ესეც ღვთის ნებით ხდება? ესეც შენი ბედი იყო?..

რა ძნელია ახლა ამის გახსენება და დაჯერება. ჯანღონით სავსე, ულამაზეს და უკეთილშობილეს ვაჟკაცს, მშობლიური სოფლის საკუთარ სახლში ჩასულს, საშემდგომო სამუშაოებისას მოგწვდა სიკვდილის მსახვრალი ხელი, ტრაგიკულად, გამაოგნებლად გათავდა ყოველივე, დღის ნათელს გაეყარა შენი სპეტაკი სული... მერე, როგორ გიყვარდა შენი ლამაზი სოფელი ზოდი, წინაპართა ფუძე-საძირკველი. ჩემი საფლავიც აქ უნდა იყოსო, — ამბობდი.

ცრემლის ზღვა და ღრმა გულისტკივილი გაიყოლე მარტო შენი სოფლის კი არა, საქართველოს ბევრი კუთხის, დედის, ძმების, შენი ოჯახის, სამეგობროს და სანათესაოს უამრავი ადამიანის. შენმა გეოლოგმა მეგობრებმა, რომლებთან ერთადაც ქვეყნის მთა და ბარი შემოგივლია, ღამეები გითენეს, გულის სითბო და სულის ნაწილი გაგატანეს. შეძრულია რესპუბლიკური საავადმყოფოს კოლექტივი, სადაც უკანასკნელ ხანს მუშაობდი და სადაც ნათელი, სიკეთით სავსე კაცის სახელი დატოვე. ყველა გიყვარდა, ყველას უყვარდი, თანადგომა და ვაჟკაცური მხარში ამოდგომა იცოდი ჭირსა თუ ლხინში...

გავა წლები. ვერაფერი გაუქარვებს დარდს და სევდას გულმოკლულ დედას, ძმებს, მეუღლეს, შვილებს, შენი ოჯახი სათუთად შეინახავს შენს ხსოვნას და სახელს, შვილები იამაყებენ სათაყვანებელი მამით.

იძინე მშვიდად...

ყოველ წმინდა დღეს ლოცვას აღვავლენთ შენი სულისათვის, ღმერთს შენს ნათელში ყოფნას შევავედრებთ, ჩვენო მარადისობაში გადასულო, დაუვიწყარო **გია!**

შენი ოჯახი და მეგობრები.

შვილები მედეა, ზურაბი, მერაბი, სიძე მერაბ კუტალაძე, რძლები ირმა ჯღარკავა, ქეთინო ლეჟავა, შვილიშვილები დათო კუტალაძე, საღომე, თეონა, თორნიკე, ლუკა ფირცხალავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დავით დიანოზის ძე ფირცხალავა

პანაშვიდი 25 XI 16 სთ, გამოსვენება 26 XI 14 სთ. სამღერეთის ქ. № 50

შპს „ცენტრის“ თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე ორგანიზაციის მენეჯერი მშენებლობის დარგში

დავით ფირცხალავა

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი: პარასკევს, 25 ნოემბერს. დაკრძალვა: შაბათს, 26 ნოემბერს, 14 საათზე, მისამართი: თბილისი, სამღერეთის ქ. № 50.

25-ე ბ/ბაღის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, გამგის, ელნერი ცერცვაძის მეუღლის

ელგუჯა დუნდუას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ქ. თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახური ღრმა მწუხარებით იუწყება ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის გენერალური დირექტორის დავით პავლიაშვილის მამის

რომან პავლიაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წყალთა მეურნეობისა და სანიჟინრო ეკოლოგიის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ტექნ. მეცნ. კანდიდატის, უფროსი მეცნიერ მუშაკის გამარლი (დუდუ) დოხნაძის დედის ქალბატონ

შურა კობახიძე-დოხნაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს და მის ახლობლებს.

მეუღლე ტატო დოლიძე, შვილები დარეჯანი, დათო, შვილიშვილი ნინო, რძალი რუსუდან რუხაძე, სიძე ნუგზარ სულამანიძე, ძმახალი გურამ რუხაძე, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რომან პავლიაშვილი

პანაშვიდი 25, 26 XI 16 სთ. გამოსვენება 27 XI, 14 სთ. შარტავას ქ. № 32.

გ. ჩოგოვაძის სახელობის საქართველოს ენერგეტიკისა და ენერგეტიკულ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი, საპატიო ენერგეტიკოსი, ღირსების ორდენის კავალერი

ნოდარ ცაბა□ე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მამიდაშვილები თეზიკო ჩუბინიშვილი, ნანა ყანჩაველი, ლია ანდრონიკაშვილი, თინა რამიშვილი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ნოდარ არჩილის ძე ცაბა□ის

გარდაცვალებას.

სახელმწიფოთაშორისი ტელერადიოკომპანია „მირ“-ის საქართველოს წარმომადგენლობა თანაგრძნობას უცხადებს ფონდ „ქართული ხარისხი“-ს რეზიდენტს გიგლა კუნჭულიას დედის

დალი ვალერიანის ასულ კობალა□ის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ლილი კვიმსაძე, შვილები მადონა, მირანდა, მარინა გიორგობიანები, სიძეები ვალერი შარიქაძე, რევაზ თორია, გიორგი კანკავა, შვილიშვილები სალომე შაფაქიძე, ოთარ, ნინო შარიქაძეები, ბექა თორია, ძმისწულები, დისწულები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ოთარ ლეონტის ძე გიორგობიანი

პანაშვიდი 25, 26 XI, 16 სთ-ზე. გამოსვენება 27 XI, 15 სთ-ზე. მის: შარტავას 6, I სად, მე-8 სართ.

საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და თანაუგრძნობს ფონდ „ქართული ხარისხის“ პრეზიდენტს გრიგოლ კუნჭულიას დედის ქალბატონ

დალი კობალა□ის

გარდაცვალების გამო.

⊙ ლარის კურსი

25 ნოემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები

ინგლისური გირვ. სტერლ.	1	3,0998 ლარი
აშშ დოლარი	1	1,8000 ლარი
ევრო	1	2,1265 ლარი
რუსული რუბლი	1	0,0626 ლარი.
აზერბაიჯანული მანათი	1000	0,3918 ლარი.
სომხური დრამი	100	0,3877 ლარი.
უკრაინული გრივნა	10	3,6000 ლარი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „თანადგომა-ᲘᲘ“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი
რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი
ოთარ ტურაბელიძე.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთ. რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი შაქტების უყურადღებოდ პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწერი 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიები ნუ შემოგვთავაზებენ.